პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღია ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10.000 მან.

№ 81 ოთხშაბათი, 12 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 12 აპრილი 1922 წ. № 81

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ც. აღმასკომის საგანგებო სესია

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ამა წლის აპრილის 12-ს დანიშნულია

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო

სესია

საგანგებო სესიის დღიურ წეს რიგს შეადგენს:

1. ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაცია.
2. დამტკიცება დებულებისა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ.
3. პროექტი დებულებისა მიწათ მოწყობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით, პროექტი დეკრეტისა მიწათ-მოწყობის და მიწათ სარგებლობის ნიადაგზე აღძრული დავის განხილვის წესის შესახებ.
4. მოხსენება სიმშილობის შესახებ.

სესია გაიხსნება საღამოს 6 საათზე სასახლეში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

პროპაგანდისტთა სკოლის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან იხსნება ორთვიანი პროპაგანდისტების სკოლა (ლექციების სემინარიები) რუსულ ენაზე. **მიღების პირობები:**

მსმენელებათ მიიღებიან პარტიის წევრები 18-დან 35 წლამდის, რომელთაც აქვთ მცირეოდენი საგიტაციო პროპაგანდისტული გამოცდილება და მომზადება შემდეგი წიგნების მიხედვით: 1. კომუნიზმის ანბანი, **ბუხარინისა**, 2. პირველ-დაწყებითი კურსი პოლიტიკურ ეკონომიისა (კითხვა-პასუხში) **ბოგდანოვისა**, 3. ერფურტის პროგრამა **კაუცკისა**.

მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აპრილს. მეცადინეობა დაიწყება 2 მაისს.

ყველა კურსანტები იქნებიან სკოლის სრულ ხარჯზე

იმ ამხანაგებს, რომელთაც სურთ სკოლაში შემოსვლა უნდა წარმოადგინონ რეკომენდაცია ქალაქისა და სამაზრო პარტ-კომიტეტების და ჩაეწერნონ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის საპროპაგანდო ქვე-განყოფილებაში 25 აპრილამდის.

საქ. კომ. პარტ. ცენტ კომ. საგიტ.-პროპ. განყოფილების გამგე.

პარასკევს, მარტის 14-ს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის, ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის, საქართველოს პროფესიონალურ კავშირის პლენუმის, საქარხნო კომიტეტების და ტფილისის გარნიზონის წარმომადგენლების

შეერთებული საზეიმო სხდომა

დღის წეს რიგი: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

(3—1)

ც. აღმ. კომიტეტის საგანგებო სესია

დღეისთვის დანიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია. სესია საბჭოთა ყრილობის შემდეგ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საბჭოთა სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში და იწვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხების გადასაჭრელად. ასეთი საკითხებიც დგას საგანგებო სესიის დღიურ წესრიგში:

1) ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაცია; 2) ამიერ კავკასიის ფედერაციის დებულების დამტკიცება; 3) პროექტი დებულებისა მიწადმოწყობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით პროექტი დეკრეტისა მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის ნიადაგზე აღძრული დავის განხილვის წესის შესახებ; 4) მოხსენება სიმშილის შესახებ.

გასული წლის 13 ოკტომბერს ყარსში დაიდვა ხელშეკრულება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს და ანგორის მთავრობის შორის. რანაირიც არ უნდა იყოს ეს ხელშეკრულება, იგი პირველი აქტია საერთაშორისო ურთიერთობაში, როცა საბჭოთა საქართველო (ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან ერთად) გამოვიდა და იქნა ცნობილი მეორე მხარის, ანგორის მიერ, როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამით უზრუნველყოფილ იქნა ჩვენი ქვეყნის სამხრეთი საზღვარი და შესაძლებლობა მოგვეცა მეზობელ ოსმალეთთან ეკონომიურ თანამშრომლობისათვის. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ამას წინედ დაამტკიცა ყარსის ხელშეკრულება. ჩვენც, აღმასკომის საგანგებო სესიაც დაადასტურებს მას და ამით კიდევ უფრო განამტკიცებს კეთილმეზობლურ განწყობილებას ოსმალეთის ხალხთან.

საგანგებო სესიის დღის წესრიგის შემდეგ საკითხს შეადგენს ამიერ კავკასიის ფედერაციის დებულების დამტკიცება. ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელსაც ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს მთელმა მშრომელ ხალხმა, უკვე მომხდარი ფაქტია. ფედერაციის დებულებაც გამოქვეყნებული იყო თავის დროზე და მოწონებული. საგანგებო სესია ფორმალურ სანქციას მისცემს ურთიერთობის იმ ფორმას, რომელიც დამყარდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებ შორის.

სესიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხად უნდა ჩაითვალოს სოციალისტურ მიწადმოწყობის და სარგებლობის პროექტის განხილვა. უკვე იყო გამოქვეყნებული მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი სათანადო პროექტი. ყველა მცოდნე პირს თუ ორგანიზაციას საშუალება ჰქონდა, თუ მოისურვებდა და გაისჯებოდა, წარედგინა მოსაზრებები ამ პროექტის შესახებ. ეს საკითხი, ეჭვი არ არი, ყოველმხრივ და საბოლოოდ დამუშავებულ შესწავლილია, რის შედეგად მივიღებთ ისეთ საკანონმდებლო აქტს, რომელიც მტკიცე და გარკვეულ წესებს შეიტანს საადგილ მამულო დამოკიდებულებაში. ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღორძინება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა დაწესდება მიწის განსაზღვრული საშრომო ნორმები და თითეული მიწის მუშის უფლება—მოვალეობანი ნათლად ჩამოყალიბდება. საგანგებო სესია, რომლის წევრები კარგად არიან გაცნობილნი ადგილობრივად მიწის საკითხის სირთულეს და სიმწვავეს, საჭირო სიფრთხილით და პასუხისმგებლობით მიუდგებიან მას და დაადასტურებენ მიწად სარგებლობის და მოწყობის ისეთ ფორმებს, რომელნიც შეძლების დაგვარად დააკმაყოფილებენ ღარიბ გლეხ-კაცობის მოთხოვნილებას, შეეფერებიან სასოფლო მეურნეობის განვითარების ინტერესებს და ხელს შეუწყობენ კოლექტიურ მეურნეობის დამყარებას.

ჩვენ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სიმშილის საქმე, რომელიც შეადგენს სესიის განხილვის საგანს. ეს საკითხი ფრიად საჭირ ბოროტოა ჩვენი სინამდვილის პირობებში. სიმშილი თანდათან საზარელ ხასიათს ღებულობს და საჭიროა მის წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიღება. ჩვენს რესპუბლიკაში არსებული ყოველი რესურსი უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალურად. საგანგებო სესია გამონახავს ასეთ საშუალებებს, რამდენადაც ეს ობიექტიურად შესაძლებელია, და დასახავს გზებს სიმშილთან ბრძოლის საქმის უფრო წარმატებით წარმოებისათვის.

მეტი ყურადღება საქმიანობას, ნაკლები ფრაზას

ჩვენი რევოლიუციის ახალი ეტაპი, მისი ცოტად თუ ბევრად მშვიდობიან პირობებში მიმდინარეობა, და ამით დანგრეულ მეურნეობის აღდგენის შესაძლებლობა, მოითხოვს მუშაობის ახალ მეთოდებს. ხანა სიტყვების, ფრაზების, ნერვიული მუშაობის, ყველა საქმის სიჩქარით და მოფუცფუცებით გაკეთების უნდა ჩაბარდეს მოგონებას. თუ სამოქალაქო ომის პირობებში და ჩვენში საბჭოთა ძალაუფლების დამყარების პირველ ხანაში ეს აუცილებელი იყო, ახლა ის ზედმეტია და ფრიად საზიანოც. ის უნდა შეიცვალოს ნამდვილი საქმიანობით, წინდაწინვე დასახულ ყველა მუშაობის მტკიცედ ცხოვრებაში გატარებით, სხვა და სხვა ორგანოების შორის შრომის განაწილებით, ფუნქციების განსაზღვრით და ყოველგვარ პარალელურ მუშაობის მოსპობით.

აგიტაციამ, ნამეტურ სოფლად, სადაც ამ მხრივ ძალიან ცოტა გაკეთდა, უნდა მიიღოს ფართო ხასიათი, მაგრამ, არა მარტო სიტყვებით, არამედ ჩვენი საბჭოთა ადგილობრივ ორგანოების სალი მუშაობით, კანონების და დეკრეტების სწორად და დაუმახინჯებლად გატარებით. ყოველგვარი შეცდომის დაშვება (განზრახ იქნება ეს თუ შეუგნებლად), ადგილობრივ ორგანოების მიერ გამოიწვევს არა მარტო უკმაყოფილებას სოფლელებს შორის, არამედ დაუკარგავს მათ ნდობას საბჭოთა წესწყობილებისა და კერძოდ კომუნისტურ პარტიისადმი. ისინი ყოველ კერძო შემთხვევას აზოგადებენ და იტყვიან: „ბოლშევიკები ქაღალდზე ერთს სწერენ, და საქმით კი სხვას აკეთებენ“-ო. ასეთი სიტყვები რომ ხშირია, ამაში დამერწმუნებიან ყველა ისინი, ვინც სამაზრო ქალაქს გაცილებიან და ერთჯერ მაინც სოფელში მიუხედავთ. მოისმენთ აგრეთვე სოფლელების გაკვირვება იმის შესახებ, რომ ერთ თემში სხვანაირად ატარებენ სხვა და სხვა კანონებს, მეორეში კი სხვაფერად. ხშირად უბრალო საკითხისათვის, რომლის გადაჭრა ან გარკვევა თემის აღმასკომის მოვალეობაა, გლეხი მიდის სამაზრო ქალაქში და ხშირათ თბილისშიაც, ვინაიდან უნდა მართალი ითქვას, რომ ადგილობრივ ხელისუფლებმა არ იციან, როგორც რიგია, გამოცემული დეკრეტები, დადგენილებები და სხვა. ამის შესახებ აუარებელი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ, რადგანაც ამ ნაკლს საერთო ხასიათი აქვს და ის არ შეადგენს გამონაკლისს, ზედმეტად ვთვლი მათი ამ წერილში მოყვანას. კიდევ მეტი, ხშირად თქვენ შეხვდებით ისეთ შემთხვევას, როცა თვით საბჭოთა მთავრობის განკარგულების ცხოვრებაში პრაქტიკულად გამტარებელი არა თუ იცავს და სწორად ახორციელებს მას, არამედ თვით არღვევს! უმეტეს ნაწილად ეს ხდება არა ბოროტ განზრახვით, არამედ უცოდინარობით, რაშიდაც ადგილობრივი ორგანოები (თემების აღმასკომები) ნაკლები დამნაშავენი არიან და რატომ, ამაზე ქვევით. ჩვენი საბჭოთა აპარატი ძლიერ მარტივია. მასში სულ სამი ინსტანცია არის: ცენტრი, მაზრა და თემი. ეს უკანასკნელი პრაქტიკულად ატარებს ცენტრის ყველა განკარგულებას. სამაზრო აპარატები ეს მომავალი გადამცემი და თემის ხელის-უფალთა მუშაობის ხელმძღვანელია. აქედან ადვილად შეიძლება იმის დასკვნა, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს თემის აპარატს. თუ ის არ ვარგა, ან მან არ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს ან რა კანონებია გამოცემული, ცენტრის განკარგულება ქაღალდზე დარჩება, ან და ის გატარდება დამახინჯებულად. ამიტომ მთელი ყურადღება თემის აღმასკომის მუშაობას უნდა მიექცეს. ჩვენი ცენტრალური დაწესებულებები კი ინსტრუქტორებს გზავნიან მარტო სამაზრო ქალაქებში. სადაც ისინი ერთი ორი დღის „გასტროლის“ შემდეგ ბრუნდებიან უკან. საჭიროა თემებში მისვლა არა ერთი ორი დღით, არამედ უფრო მეტ ხნს. ამასთან ინსტრუქტორობას უნდა ჰქონდეს ხასიათი პრაქტიკულად სხვა და სხვა საქმეების გადაჭრისა. ამით შეიძლება ორ მიზანს მივაღწიოთ; ერთი გავაცნოთ ადგილობრივ ხელის-უფალი თავის მოვალეობას, და მეორე, სააგიტაციო, ვინაიდან გაურკვევი გლეხს სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო კითხვას.

იგივე უნდა ითქვას პასუხისმგებელ ამხანაგების სოფლად მისვლაზე. არ არის საჭირო რამოდენიმე საათობით მიტინგზე ლაპარაკი. საჭიროა თითოეულ გლეხის საჩივრის მოსმენა და იქვე თემის აღმასკომის წევრის თანდასწრებით მისი გადაჭრა ან სათანადო პასუხის გაცემა. ეს უფრო უკეთესი აგიტაცია იქნება, ვიდრე სოფელში მზა-კრებაზედ მისვლა, ლაპარაკი და კრების დახურამდე წამოსვლა სოფლებს ამისთანა „მოქადაგის“ მოსვლა არ უხარიათ, ვინაიდან მათ ამით სარგებლობა არ ეძლევათ.

საყურადღებოა აგრეთვე სამაზრო ორგანოები, როგორც თემების უშუალო ხელმძღვანელნი. მათ უნდა გააცნონ თემებს ყველა გამოცემული განკარგულებები, აუხსნან, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ის და სხვა.

ამ მხრივ მათი მუშაობა უნდა სწარმოებდეს არა კანცელიარული მიწერ-მოწერით, არამედ თემებში ხშირი სიარულით და ცენტრიდან მოსულ განკარგულებების დაწვრილებით შესწავლით. ეს კი ასე არ ხდება. მოვიყვან ერთ მაგალითს: ერთი მაზრის აღმასკომის განყოფილების გამგე მოხსენებაში წერს, რომ თემები ვერ ასრულებენ სწორად მის განკარგულებას, ვინაიდან მას არ ყავს „სტოროჟი პაკეტების დასატარებლად.“ აგრეთვე იყო ასეთი მაგალითი, როცა განყოფილების გამგემ განაცხადა, რომ ცენტრიდან გაგზავნილ ცირკულიარების გასაცნობად მას დრო არა აქვს და ერთი თვის განმავლობაში ის ამ განკარგულებებს ერთმანეთს აწყობს და ვერ იცლის წასაკითხად. მიზეზი „ბევრ კომისიებში მუშაობაა.“ ასეთებს ბოლო უნდა მოეღოს ამით არაფერი არ გაკეთდება.

ხ. გოდაბრელიძე.

სახელმწიფო გამომცემლობა*)

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში **სახელგამი** სათანადოთ ვერ არის მოწყობილი, ეს უცილობელი ფაქტია. მაგრამ რა არის ამის მიზეზი?

ამხ. აქილესს, რომელსაც თურმე „პირადათ ამ საქმეში მრავალი წლების გამოცდილება აქვს“, ჰგონია რომ ეს მოუწყობლობა სახელგამის „განყოფილების დაუდევრობის“ ბრალია. (იხ. გაზ. „კომუნისტის“ № 71) კარგათ ვიცით, თუ რა ადგილი აქვს ამ „დაუდევრობას“ ჩვენი რესპუბლიკის სხვა დაწესებულებებში და რა დეზორგანიზაცია შეაქვს მას საბჭოთა სისტემაში, მაგრამ ამხ. აქილესის და სხვათა საყურადღებოდ უნდა განვაცხადო, რომ ამ მიზეზს, „დაუდევრობას“, სახელმწიფო გამომცემლობის საქმეში არავითარი ადგილი არა ჰქონია. მიზეზი სულ სხვაა და საჭიროა ყველამ, ვისაც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ბატონ პატრონათ მიაჩნია თავი, კარგათ შეისწავლოს ეს მიზეზი, შეიმუშაოს შესაფერი პოლიტიკა და მიიღოს საჭირო რადიკალური ზომები ამ მიზეზის ძირფესვიანად ამოსაფხვრელათ.

თავი და თავი ისაა, რომ ჩვენში, როგორც გამომცემლობის საქმეს, ისე სხვა ბევრ საქმესაც სათავეში მოექცნენ ისეთი პირები, რომლებიც ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას.

და თუ მათ მოღვაწეობას სათანადო ნაყოფი არ გამოუღია, ეს იმიტომ კი არა, რომ ისინი „დაუდევარნი“ იყვენ და ნაკლებათ მუშაობდენ, არამედ პირიქით ისინი საოცარ მხნეობას იჩენდენ და გადაჭარბებით მოქმედებდენ: მათ შესაფერი კვალი დააჩნიეს „საბჭოთა აღმშენებლობას“ ჩვენში, ისეთი კვალი და ელფერი დასდეს მას, რის წაშლა-აღმოფხვრა გვიჭირდება ჩვენ დღეს.

მათ მოგვცეს არა მარტო რუსული „შაბლონი“ ამ საქმეში, არამედ **ჩვენს ადგილობრივ მკითხველებს** ვერ მიაწოდეს მათთვის გასაგები ლიტერატურა, რის გამოც ამ უკანასკნელებმა კომუნისტური კულტურისადმი დიდი გულგრილობა და ერთგვარი უყურადღებობა გამოიჩინეს.

როგორც მაგალითს ზოგიერთ მათგანის ნამუშევარისას, მოვიყვან ბაგდატიევის მიერ ჩვენში დაარსებული „გრუკავროსტა“-ს და ბრიხნიჩოვის ხელმძღვანელობით ქართულ ენაზე გამოცემულ ჟურნალ „სახალხო განათლებას“. სხვა მაგალითებს მე არ დავასახელებ.

მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ბევრ ჩვენთაგანს ჰგონია, რაკი საქართველოს რესპუბლიკა ჩვენს განკარგულებაშია, ყოველივე საქმეს ისე მოვაწყობთ, როგორც მოგვესურვება, ან ისე, როგორც ეს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაშია მოწყობილი: თითქო ჩვენთვის საკუთარი შემოქმედებითი და აღმშენებლობითი შესაძლებლობა აღარ არსებობდეს, თითქო ყველაფერი მზამზარეული გვქონდეს და ახალის შექმნა აღარ გვჭირდებოდეს. მაშინ როდესაც ყველაფერი ხელახლათ შესაქმნელია, ყველაფერი ახლათ დასაარსებელია. ამხ. აქილესს ჰგონია, გამომცემლობა და აგენტურა რაკი წინათ საქართველოში მოწყობილი იყო ან რაკი ეს საქმე რუსეთში საუცხოვოთ არის გამართული, ჩვენშიაც ეს თვალის დახამხამებაში შეიძლება მოეწყოს ან ძველებურათ „ჩვენებურათ“, ან ისე, როგორც რუსეთშია. აშკარა კია, რომ ეს საქმე ჩვენში ვერც ძველებურათ მოეწყობა და ვერ ისე, როგორც რუსეთშია; და ეს იმიტომ, რომ საქართველოში თავისებური განსაკუთრებული პირობა-გარემოებანი არსებობს, რომელსაც ჩვენ აუცილებლათ ანგარიში უნდა გაუწიოთ, თუ გვინდა საქმე შევასრულოთ და მიზანს მივაღწიოთ.

და თუ დღესაც ეს საქმე მოწყობილი არა გვაქვს, ამის მიზეზი ისაა რომ ჩვენი ახლანდელი მოსაქმეები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ აქ წამოყენებულ პრინციპს, არ ეცნობიან „ჩვენებურს—ძველებურს“ გამოცდილებას და საკმაო უნარს და ნიჭს ვერ იჩენენ ადგილობრივი პირობების შესაფერის აღმშენებლობა შემოქმედებაში.

მესამეთ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამას შესაფერი დრო სჭირდება და მოგეხსენებათ ისტორიულ გარემოებათა ძალით ჩვენ ამ საქმეს მხოლოდ ამ წლის დასაწყისში შევუდექით.

მაგრამ ყველა აქ ჩამოთვლილ მიზეზთა გარდა ამ საქმეშიაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „**მიზეზთა მიზეზს**“.

„მიზეზთა-მიზეზი“ კი ჩვენი სისუსტისა ყველგან და ყველაფერში ისაა, რომ ჩვენ არც ერთ სფეროში, არც ერთ დარგში ადგილობრივი ვითარება-პირობების მცოდნი და შესაფერი **საკმაო კომუნისტური ძალა არ მოგვეპოვება; მაშინ, როდესაც კომუნისტური საქმე მხოლოდ კომუნისტს შეუძლია შეასრულოს და სხვას არავის.**

მაგრამ წმინდა კომუნისტური საქმის გარდა საბჭოთა რესპუბლიკაში სხვა მრავალი საქმეც არის ისეთი, რომელიც „პატიოსან უპარტიოსაც“ კარგად შეუძლია შეასრულოს.

სწორედ ასეთ საქმეთა რიცხვს ეკუთვნის განსაკუთრებით სახელმწიფო გამომცემლობის ნაწარმოებთა გავრცელება ხალხში. ამ საქმისთვის ჩვენში მრავალი გამოცდილი უპარტიო პირი მოიძებნება, რომლებიც „პატიოსნათ“ შეასრულებენ ამ საქმეს თუ კი მივანდობდით მათ. მაგრამ, სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით ამ საქმის ხელმძღვანელნი ამ ნიადაგზე ვერ დამდგარან.

მაგალითად, როცა ჩვენ ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელების საქმის მოწყობა ყოფილ „განათლების“ კანტორის საშუალებით მოვინდომეთ, ამას სათანადო ყურადღება არ მიაქციეს და „გაზეთების ტრესტი“ შეადგინეს. ამ გზით „განათლების“ კანტორაც ჩამოგვაშორეს და „პრესის ტრესტიც“ სათანადოთ ვერ მოაწყვეს. ამნაირად გამომცემლობის ნაწარმოებთა გავრცელების საქმეც ქაოტიურ მდგომარეობაში დარჩა.

სახელმწიფო გამომცემლობა ფინანსიური მხრითაც დაბრკოლებულია: დღემდე მას საკუთარი სმეტა არ გააჩნია. იგი სახგანკომის ერთ-ერთ მთავარ განყოფილებას წარმოადგენს, მაგრამ წიგნების გამოსაცემად განსაზღვრულ თანხას ვერ ღებულობს. ამასთან იგი მოკლებულია სხვა კომისარიატების ყურადღებას: დღემდე ვერას გზით ვერ მოხერხდა, რომ სახელგამის საუწყებათაშორისო კოლეგია შესდგეს, რომ გამომცემლობის საქმეს ხელმძღვანელობა გაუწიოს

ყველა უწყება თავის ნებაზე მოქმედებს ამ საქმეში და საერთო სახელმწიფო საქმეში არევ დარევა შეაქვს.

როგორ და რითი გამოვალთ ამ მდგომარეობიდან?

სახელმწიფო გამომცემლობა — ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი და სახალხო, მასთან კომუნისტური საქმეა; მაგრამ მას ორი სულ სხვა და სხვა მხარე აქვს. ერთია მისი იდეოლოგიური მხარე, რომელიც განსაზღვრულ პროლეტარულ-კომუნისტური ხასიათისა, ხოლო მეორეა ეკონომიურ-წარმოებითი, რომელიც საქონლის ყველა თვისებებს შეიცავს.

წიგნი და გაზეთი ისეთივე საქონელია ბაზარზე, როგორც პური ან ფართალი. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პურის და ფართლის მუშტარი შეიძლება ყოველი მოქალაქე იყოს, ხოლო კომუნისტური წიგნისა და გაზეთის მუშტარი კი განსაზღვრული წრეები. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი მუშტარიც საჭიროებს ბაზარს, რომელზედაც სამოქმედოთ ეგრედ წოდებული ვაჭარი გამოდის; და აი ამ ვაჭრის საშუალებით ტრიალებს წიგნიც და გაზეთიც ამ ბაზარზე. მით უფრო ეს დღევანდელ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხანაში, როდესაც „ვაჭრობის თავისუფლება“ გამოცხადებულია და ბევრია ჩვენში ისეთი ვაჭარი, რომელიც სხვაგვარ საქონელს წიგნს და გაზეთს არჩევდა სავაჭროთ.

აქედან სახელმწიფო გამომცემლობა თუ პირველის, იდეოლოგიურის მხრით წმინდა კომუნისტური საქმეა და მას წმინდა კომუნისტური ხელმძღვანელობა სჭირდება, სამაგიეროთ ის მეორე, ეკონომიურ წარმოებითი მხრით ვაჭრობის საგანს წარმოადგენს და მას ჩვენც რამოდენიმეთ ვაჭრული თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ.

ჩვენი სახელმწიფო გამომცემლობის ორგანიზაციაც მისი ამ ორმაგი ხასიათიდან გამომდინარეობს და ეს პრინციპი, ადგილობრივი ვითარება-პირობასთან შეფარდება-შეთანხმებით ჩვენს საგამომცემლო მუშაობა-აღმშენებლობას საფუძვლად უნდა დაედოს.

სახელგამის კოლეგიის წევრი
რაჟდენ კალაძე.

გენუას კონფერენციის გახსნა

ნაუენი. 11 აპრილი (რადიო). 10 აპრილს 15 საათზე გაიხსნა გენუას კონფერენცია. კონფერენცია გახსნა იტალიის მთავრობის თავმჯდომარემ ფაქტამ, რომელიც მხურვალეთ მიესალმა დელეგატებს და აღნიშნა აუცილებლობა იმ შეთანხმების მიღწევისა და პრაქტიკულ შედეგებისა, რომელმაც უნდა იხსნას მთელი ქვეყანა.

ფაქტას მისასალმებელი სიტყვის შემდეგ გამოვიდა ლოიდ ჯორჯი, რომელმაც, იტალიის დელეგაციის მეთაურის ფაქტას კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩევის წინადადება შეიტანა. წინადადება მიღებულ იქნა. თავმჯდომარემ დაიკავა რა თავისი ადგილი, მოკლეთ გააცნო კონფერენციას იტალიის თვალსაზრისი კონფერენციის მიერ განსახილველ საკითხების შესახებ. ფაქტას შემდეგ ილაპარაკეს ლლოიდ ჯორჯმა, ბარტუმ და ბელგიის პრემიერმა ფენისმა. შემდეგ სიტყვა ითხოვეს იაპონიის დელეგატებმა. უკანასკნელად ილაპარაკა კანცლერ ვირტმა და რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ჩიჩერინმა. პატარა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მიეცემათ სიტყვა თავიანთი შეხედულების მოსახსენებლად შემდეგ სხდომაზე.

ბორდო 11 აპრილი (რადიო). პარიზის საღამოს პრესა იუწყება გენუას კონფერენციის გახსნას და აქვეყნებს ბარტუს სიტყვის დასაწყისს, რომელმაც სხვათა შორის განაცხადა: „უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ევროპის აღორძინება შესაძლებელი იქნება საზღაპრო კვერთხის გაქნევით. ამ გვარათ ფიქრი უფრო საბედისწერო და უბედური იქნებოდა, ვინემ არაფერი არ გაგვეკეთებია“.

თეთრგვარდიელთა პრესა

ვერაფერი მათ ვერ უშველის

რუსეთის თეთრგვარდიელები დამარცხებული შინაურ ფრონტზე და გადახიზნული საზღვარგარეთ, მუდამ მოხარული იყვნენ ყოველი ახალი შემთხვევის, თუ ეს მომასწავებელი იქნებოდა საბჭოთა რუსეთთან ომის დაწყების, მის შინაურ ცხოვრებაში ჩარევის. მაგ. ისინი გულის ფანცქალით მოელოდნენ პოლონეთ რუსეთის ომის შედეგებს, მოუთმენლობით ხელებს იზელავდნენ, როდის დადგებოდა ის სანატრელი დრო (რომელსაც ისინი სიზმარში თუ იხილავდნენ) როდესაც საბჭოთა ძალაუფლება დამხობილი იქნება და ძველი ბატონებიც კვლავ ბუქნას გადაივლიან რუსეთის მუშისა და გლეხის ზურგზე. მაგრამ პოლონეთის კამპანიამ საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ შემოკრიბა ყველა სასიცოცხლო ძალები ერის და მთავრობაც შეიქნა ამ მომენტში, ყველას დასანახათ, მატარებელი ზოგად ნაციონალური და არა მარტო კლასიური ინტერესების. დაახლოვებით იგივე მეორდება დღეს.

რა ღონე არ იხმარეს თეთრგვარდიელებმა უცხოეთში, ყოველ გზა ჯვარედინზე ჩხავილით განიძრახებიათ ევროპის სახელმწიფოები მთავრობები იმაში, რომ მათ არავითარი კავშირი რუსეთთან არ დაედოთ, რომ შესაძლებელი სისასტიკით მოქცეოდნენ ბოლშევიკებს, რათა იძულებული გაეხადათ ისინი, დასთანხმებოდნენ უკიდურეს პირობებზე და ამნაირათ აღედგინათ რუსეთში თუ არა ძველი რეჟიმი სრულიად, ყოველ შემთხვევაში—რაღაც გარდამავალი ამ რეჟიმისკენ. მოკავშირეებმა შესთხზეს გეგმა რუსეთის თავიდან ფეხებამდი გაბაწვრისა და ასე შეკრულის, თავის კრედიტორების ფეხთა ქვეშ გასაგორებლათ. როგორც ეს იყო 1920-ში, ისე დღესაც ასეთი ჯალათური ზრახვები ანტანტის იმპერიალისტების თავს უყრის ყველ უკმაყოფილო ელემენტებს კომუნისტების ირგვლივ. ამას აშკარათ ხედავთ მილიუკოვის „ПОСЛЕДНИЕ НОВОСТ“:

„სწრაფი ზრდა პატრიოტული აღშფოთების მათი (მოკავშირეების) მოთხოვნების გამო ჩვენთვის გასაგებია. თვითონ ჩვენც უთითებდით იმ აუცილებელ შედეგებზე, რომელიც ექნებოდა რუსეთის გათანაბრებას ახალშინებთან და პირველყოფილ ქვეყნებთან. როგორ შეუძლია რუსეთს სხვანაირათ ვინემ აღშფოთებით, შეხვდეს მხოლოთ ერთი უცხოელებისათვის განსაკუთრებული უფლებების მოთხოვნას. როგორ შეიძლება განსხვავების ხაზი გაივლოს მსგავსი გარანტიების მოთხოვნისა და პირდაპირი ეკონომიური ინტერვენციის შორის. ამნაირათ რუსეთის დახმარების საკითხის შემცდარათ დასმა უმაღლესი საბჭოს მიერ აუცილებლათ ამზადებს დამარცხებას, არა მარტო იმიტომ, რომ ის არის ფრიად ბეცი და ეგოისტური პოლიტიკა, არამედ იმიტომაც, რომ ის ხელოვნურათ თავს უყრის ოპოზიციაში თავის წინააღმდეგ ისეთ ელემენტებს, რომლებიც რუსეთში ერთმანეთს მტრობენ, ისევე, როგორც ამას ადგილი ქონდა. თეთრი არმიების დროს. კითხვის ასეთი დაყენება რუსული ჭეშმარიტი პატრიოტიზმის ტალღას მიუშვებს ბოლშევიკების წისქვილზე და გააძლიერებს ბოლშევიკების ძალა-უფლებას“.

ამხ. ჩიჩერინის აზრი

გენუის კონფერენციისა და იქ რუსეთის პოზიციის შესახებ

მიუხედავად ზოგიერთ მთავრობის სკეპტიკური და სხვების მტრული დამოკიდებულებისა გენუას კონფერენციისადმი, სთქვა ამხ. ჩიჩერინმა—ყველა მთავრობები გამალებით ემზადებიან მისთვის. ანტანტის დიდ სახელმწიფოთა ექსპერტები იმუშავებენ ლონდონში პროექტებს კონფერენციისათვის. რუსეთის მთავრობამ პროტესტი განაცხადა სხვა მთავრობების განზრახვების წინააღმდეგ—დააყენონ იგი გენუაში მოხდარ ფაქტის და წინასწარ გამომუშავებულ პროექტების წინაშე, რომელნიც დამზადებულნი იქნებიან რუსეთის მხრით მონაწილეობის და ცოდნის გარეშე.

ჩვენი დელეგაცია ემზადება იმისთვის, რათა აიტანოს გააფრთებული ბრძოლა ხელმძღვანელ ბურჟუაზიულ მთავრობებთან. ის თავის მხრივ უნდა ემყარებოდეს გენუაში ვრცლად და სისწორით დამუშავებულ მასალებს, რათა ჰქონდეს საშუალება სავსებით შეიარაღებულმა აწარმოოს ბრძოლა მეორე მხარის მოთხოვნილების წინააღმდეგ. ანტანტის ექსპერტების მზადებების შესახებ გამოქვეყნებულია ბევრი ცნობა, მაგრამ დანამდვილებით არაფერი არ ვიცით. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს საგაზეთო ცნობები ისახავენ მიზნად დამალონ ანტანტის და მის ექსპერტების ნამდვილი განზრახვები, თვით

---

*) სადისკუსიო.

კონფერენციამდე ეს მთავრობები დამალავენ თავიანთ კონკრეტულ წინადადებებს და მასალებს, რომელნიც მათ ექნებათ, ჩვენი დელეგაციაც იძულებულია ამავე ტაქტიკას მისდიოს. ის იქნებოდა ჩაყენებული უსწორო და არა ხელსაყრელ მდგომარეობაში, რომ წინასწარ გამოექვეყნებინა თავისი დამოკიდებულება მეორე მხარის შესაძლებელ პროექტების მიმართ, მაშინ, როცა მეორე მხარე გულმოდგინედ მალავს ყველაფერს. ეს იძულებულს ხდის ჩვენს დელეგაციას გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა მეორე მხარე არ იყოს გაცნობილი იმ კონტრ-წინადადებებს, რომლითაც ჩვენი დელეგაცია უპასუხებს მეორე მხარის წინადადებებზე.

ჩვენი დელეგაციის პრინციპიალური მდგომარეობა ცხადია და საკმაო გარკვეულობით გამოაშკარავებულიც: ის ულტიმატიურად დაიცავს საბჭოთა წყობილების და რუსეთის სახელმწიფოს სუვერენულ უფლებების ხელშეუხებლობას ამ ეკონომიურ საფუძვლების, რომლებიდან გადახვევა დაემუქრებოდა საბჭოთა წყობილების არსებობას და რასაც მიჰყვებოდა რუსეთის მშრომელ მასსების დამონება. მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ რუსეთში და მისმა სუვერენულმა უფლებებმა არ უნდა განიცადონ არავითარი შელახვა ან ზიანი. მშრომელ მასსების უფლებები, რომელნიც უზრუნველყოფს მათ რა ფორმისაც იქნება დამონებისაგან, უნდა დარჩეს უსათუოდ ხელუხლებელნი და დაცულ უნდა იქნეს ფრიად გულმოდგინეთ და ყურადღებით. მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ხელშეუხებლობის და სუვერენულ უფლებების, მშრომელ მასსების უფლებების და საბჭოთა წყობილების ეკონომიურ საფუძვლების უთუო შენარჩუნების ფარგლებში სავსებით შესაძლებელია შეთანხმება უცხოეთის კაპიტალთან, შეთანხმება, ხელშეკრულობით ჩარჩოებით სასტიკად განსაზღვრული, რომელიც მისცემს ჩვენს მრავალ კონტრაგენტებს საკმაო მოგებას, რათა მოვიზიდოთ ისინი ჩვენთან, და რომელიც ამავე დროს გამოიწვევს მრეწველობის და ტრანსპორტის აღდგენას და განვითარებას რუსეთში.

რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრენი გაუზომელია, მაგრამ ჩვენ გვაკლია წარმოების იარაღები მათ დასამუშავებლად. ის, რაც გვესაჭიროება ჩვენი მეურნეობის აღორძინებისა და განვითარებისათვის, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ უცხოეთიდან სესხის ფორმით ან უცხოეთის კაპიტალის ჩვენთან მოზიდვის სახით საკონცესიო საფუძველზე. ერთიც და მეორეც დაკვირვებით აწონილ დაწონილი შეთანხმებაა, რომელიც მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას უტოვებს ყველა მის უფლებებს და რუსეთის სახალხო მეურნეობას აძლევს სარგებლობას, რომლის მიღება სხვა გზით შეუძლებელი იქნებოდა. შეთანხმება, რომელიც ამავე დროს ანიჭებს უცხოეთის კაპიტალს საკმაო სარგებელს, რათა ის მოვიზიდოთ, რუსეთის მხრით სრულებით არ არის საჭირო მსხვერპლის გაღება, არამედ მხოლოდ მომავალ სარგებლის და მოსალოდნელ მოგების ნაწილის გამოყოფა იმისათვის, რათა ეს სარგებლობა და მოგება მივიღოთ. ლაპარაკია არა იმაზე, რომ საფასური ვაძლიოთ უცხოეთის კაპიტალს სწავლებისათვის, არამედ პირიქით, იმაზე რომ რუსეთის სახალხო მეურნეობამ მიიღოს უცხოეთის კაპიტალიდან სარგებლობა და მოგება, მას კი დაუტოვოს მხოლოდ ამ სარგებლობის და მოგების ნაწილი. საქმე ეხება არა იმას, რომ რუსეთს დააკლდეს რაიმე ბუნებრივი სიმდიდრე, პირიქით, რომ განვითარდეს მისი მეურნეობა, გამოყენებულ იქნას მისი ბუნებრივი სიმდიდრენი, განაყოფიერებული მისი მეურნეობა მოგების რამოდენიმე ნაწილის მიცემით უცხოეთის კაპიტალისათვის, რომელიც მისცემს რუსეთს წარმოების და ტრანსპორტის აუცილებელ იარაღებს.

ჩვენი რკინის გზები საჭიროებენ ორთქლმავლებს, მოძრავ შემადგენლობას. ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია დავამზადოთ ასეთების საკმაო რაოდენობა. უცხოეთის კაპიტალმა ან უნდა მოგვყიდოს ჩვენ ისეთები, ან დაამზადოს შიგ რუსეთში. ჩვენი სასოფლო მეურნეობა საჭიროებს თესლეულს, ჯიშიან საქონელს, განოყიერებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. ჩვენ გლეხს არ შეუძლია სათანადოდ მოაწყოს თავისი მეურნეობა, აუცილებელ სასოფლო-სამეურნეო იარაღების, განოყიერების და სხ. გარეშე. საზღვარ-გარეთიდან ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი ეს მივიღოთ იმ სარგებლობის და მოგების რამოდენიმე ნაწილის დათმობით, რომელსაც ჩვენ მივიღებთ ჩვენი სასოფლო-მეურნეობის განაყოფიერების საშუალებით, მისი მოწყობით უცხოეთის დახმარებით. საქმე ეხება, ვიმეორებ, არა მსხვერპლის გაღებას, არამედ მოგებას ორივე მხარისათვის.

მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ესაჭიროებათ ჩვენი ნედლეული. ჩვენ უნდა აღვადგინოთ და განვავითაროთ ამ ნედლეულის დამუშავება, და ჩვენ მივიღებთ ამ ნედლეულის სამაგიეროდ მანქანებს და უფრო განვითარებულ ქვეყნების მრეწველობის სხვა ნაწარმოებს. რუსეთის ნედლეულის და ბაზრის გარეშე ზარალობს მთელი მსოფლიო მეურნეობა, და უკანასკნელის ინტერესებისათვის, უსათუოდ საჭიროა რუსეთის სახალხო მეურნეობის აღორძინება და განვითარება. ბურჟუაზიული მთავრობები ამიტომ სასიცოცხლოდ დაინტერესებულნი არიან, რათა აღადგინონ საბჭოთა რუსეთთან ეკონომიური თანამშრომლობა, რომელიც აუცილებელია რუსეთის სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის და ამ გზით ხელის შესაწყობად მსოფლიო მეურნეობის აღორძინებისათვის. საქმე ეხება ისევ ურთიერთ სარგებლობას და მოგებას. ეკონომიური თანამშრომლობა, რომელიც უნდა განვითარდეს რუსეთსა და სხვა ქვეყნებ შორის, საჭიროა ორივე მხარესათვის, ეს აუცილებელიცაა როგორც რუსეთის, ისე მთელი მსოფლიოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის.

ასეთია საერთოდ და მთლიანად ის პროგრამა, რომლის განხორციელებას უნდა შეუდგნენ გენუაში. ლაპარაკია უაღრესად რთულ მოლაპარაკებათა და შეთანხმებებზე, რომელნიც მოითხოვენ ფრიად დაკვირვებულ დამოკიდებულებას და დაწვრილებითი დამუშავებას. როგორადაც არ უნდა დასრულდეს გენუას კონფერენცია, ის იქნება მხოლოდ საფეხური ამ პროგრამის განხორციელების გზაზე. ჩვენ, შეიძლება, გენუაში ვერ მივაღწევთ შეთანხმებას, ასეთ შემთხვევაში ჩვენ მას მივაღწევთ რამოდენიმედ დაგვიანებით. ჩვენ შეგვიძლია უკვე გენუაშიც რაიმეზე მაინც შევთანხმდეთ; მაგრამ ეს შეთანხმება იქნება მხოლოდ ნაწილობრივი და ერთ ერთი საფეხური სხვა შემდგომი შეთანხმებათა გზაზე. როგორადაც არ უნდა დათავდეს გენუას კონფერენცია, მისი მნიშვნელობა იმაშია, რათა მისცეს დასაწყისი ჩემ მიერ აღნიშნულ პრობლემის დაყენებას მთლიანად. უცხოეთის კაპიტალი მოვა ჩვენთან იმიტომ, რომ ჩვენ მას მივცემთ საკმაო მოგებას და იმიტომ, რომ ჩვენი მეურნეობის განვითარება შეადგენს მის ინტერესებსაც. ამასთან ჩვენთვისაც უზრუნველვყოფთ საკმაო სარგებლიანობას და საკმაო მოგებას, და ჩვენთვის მივაღწევთ საკუთარი მეურნეობის განვითარებას. ყველაფერი ეს უნდა წარმოებდეს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების, რუსეთის მშრომელ მასსების უფლებების და საბჭოთა წყობილების ეკონომიურ საფუძვლების სრულ ხელისუფლების ჩარჩოებში.

შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან უნდა გამოიხატოს რუსეთის მუშურ-გლეხურ მთავრობის სრულ იურიდიულ ცნობაში. ეს იურიდიული აღიარება აუცილებელია არა ფორმისათვის, არა ცერემონიისათვის, არამედ წმინდა პრაქტიკულ საქმიან საჭიროებისათვის, უცხოეთის კაპიტალთან საქმიან შეთანხმების უზრუნველსაყოფად. შეთანხმება სხვა სახელმწიფოებთან უნდა გამოიხატოს აგრეთვე ინტერვენციის სისტემის უკანასკნელ ნაშთების სრულ მოსპობაში, ჩვენს ტერიტორიაზე თეთრგვარდიელთა ბანდების შემოჭრის სისტემის სრულ ლიკვიდაციაში, საბჭოთა რესპუბლიკების სრულ უზრუნველყოფაში გარედან თავდასხმისაგან და სრულ აღიარებაში ბურჟუაზიულ მთავრობების მხრივ რუსეთის საბჭოთა წყობილების ხელშეუხებლობის სრულ აღიარებაში. ყველაფერი ეს შეადგენს შეთანხმების აუცილებელ პირობას რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებ შორის, და უკანასკნელებს ეს ისე კარგად ესმით, რომ უკვე წამოაყენეს საერთოდ და მთლიანად, ეს პრინციპები კანნის რეზოლიუციის ზოგიერთ მუხლში.

მაგრამ შეთანხმება გულისხმობს ცოტა მეტ რამესაც, ის ნიშნავს ყველა უთანხმოების გადაჭრას და ყველა სადავო საკითხის მოგვარებას მომლაპარაკე მხარეებ შორის. ყველა სადაო საკითხი რუსეთსა და სხვა მთავრობებ შორის უნდა იქნეს გადაჭრილი, და თუ გენუაში არა, გენუას შემდეგ ეს მიღწეული იქნება. ასეთ სადავო საკითხებს ეკუთნის უცხოელ მთავრობების და მოქალაქეთა პრეტენზიები ჩვენდამი, და ის პრეტენზიები, რომელთაც ჩვენ წარმოუდგენთ რუსეთის ინტერვენციის ინიციატორებს და ხელმძღვანელებს. ამ სადაო საკითხების გადაწყვეტის დროს რუსეთის დელეგაცია ასევე ულტიმატიურათ მოითხოვს რუსეთის მუშურ-გლეხურ ხელისუფლების და მშრომელ მასსების სუვერენიტეტის და უფლებების სრული ხელშეუხებლობის რაიმე დარღვევის უთუო დაუშვებლობას და რუსეთის მუშების და გლეხების დამონების რაიმე ფორმის სრულ დაუშვებლობას.

ჩვენ წინაშე წარმოდგარია, ამ გვარად, უაღრესად რთული პრობლემები. არა გვგონია როდისმე ისტორიაში სამშვიდობო დელეგაციების წინაშე მდგარიყო ასეთი რთული და დიდი საკითხები. მაგრამ თუ ეხლა არა, უახლოეს მომავალში ეს საკითხები უნდა იქნან გადაჭრილნი. ეკონომიური აუცილებლობა ამას მბრძანებითი კილოთი მოითხოვს, როგორც ჩვენგან, ისე ბურჟუაზიულ მთავრობებისაგან.

გ. ჩიჩერინი.

რადიო-დეპეშები

გენუას კონფერენცია

გენუის კონფერენციის გახსნა.

განოვერი. 10 აპრილი. (რადიო). გენუის კონფერენციის გახსნა დანიშნულია ორშაბათისათვის. კონფერენცია უნდა გაიხსნას ლოიდ-ჯორჯის შესავალი საპროგრამო სიტყვით, რომელსაც ეკუთვნის ინიციატივა ხსენებულ კონფერენციის მოწვევისა. სხდომის დარბაზში დელეგატების ადგილები გაყოფილია ორ ჯგუფად: მომწვევნი და მოწვეულნი. გერმანიის პრესსა ხაზს უსვამს ასეთ დანაწილებას.

ნაუენი. 10 აპრილი. (რადიო). იტალიის პრესის ცნობით კონფერენციას გახსნის იტალიის მთავრობის თავმჯდომარე—დე ფაქტა. შემდეგ სიტყვა მიეცემა ლოიდ ჯორჯს, რომელიც გააკეთებს მცირე მოხსენებას ზავის ჩამოგდების შემდეგ მომხდარ პოლიტიკური ამბების შესახებ. შესავალი სიტყვის შემდეგ ლოიდ ჯორჯი შეიტანს რამოდენიმე კონკრეტიულ წინადადებათ ევროპის ეკონომიური აღდგენის თაობაზე და სპეციალურად რუსეთის პრობლემის შესახებ. გაზეთი „ივნინგ სტანდარტი“ აღნიშნავს, რომ ლოიდ ჯორჯი პირველ ყოვლისა მოითხოვს ჯარების შემცირებას, რომელნიც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ძლიერ გაიზარდენ.

პუანკარეს უკანასკნელი შეხვედრა ლოიდ ჯორჯთან.

განოვერი. 10 აპრილი. (რადიო). ლოიდ ჯორჯმა ინახულა პუანკარე თავის ვაგონში მატარებლის ერთი საათით გაჩერების დროს. ბაასი ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ გენუის კონფერენციასთან დაკავშირებულ საკითხებს. მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება შემდეგ საკითხებში: კონფერენციაზე არ უნდა იქნეს აღძრული და განხილული საკითხები რეპარაციის და საზავო ხელშეკრულობებისა; არ უნდა იქნეს განხილული საკითხი რუსეთის არმიის განიარაღებისა ისევე, როგორც საერთო განიარაღებისა. წინასწარ მოლაპარაკებაზე, ხუთი დიდი სახელმწიფოს შეთანხმების შემდეგ, შეიძლება დაშვებულ იქნეს დანარჩენ სახელმწიფოთა წარმომადგენელნიც, გარდა გერმანიისა. საბჭოთა რუსეთის ცნობა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვის მთავრობა დაამტკიცებს თავის გულწრფელობასა და ნამდვილ სურვილს იცნოს ანტანტის მოთხოვნილებები. განზრახულია საერთაშორისო ვალებისა და საერთაშორისო სესხის საკითხის განხილვა.

ბერლინი. 10 აპრილი. (რადიო). გაზეთი „პტი პარიზიენი“ იუწყება, რომ საფრანგეთისა და ინგლისის პრემიერები ერთი საათის მოლაპარაკების შემდეგ, სავსებით შეთანხმდნენ გენუას კონფერენციის პროგრამის საკითხში. რუსეთის საკითხის შესახებ დადგენილია, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი, რამოდენიმე ხნის განმავლობაში, დაამტკიცებს თავის სურვილსა და მისწრაფებას შეასრულოს თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი ომამდის არსებულ ვალების ცნობაშიც.

ნაუენი, 10 აპრილი (რადიო). გაზეთ „ტაიმსი“ს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ლოიდ ჯორჯმა გარკვეულად განუცხადა პუანკარეს, პარიზში უკანასკნელად შეხვედრის დროს, რომ ბრიტანეთის დემოკრატია ბევრ რასმეს მოელის გენუას კონფერენციიდან და არ აპატიებს იმ სახელმწიფოს, რომელიც თავისი ტაქტიკით ხელს შეუშლის კონფერენციის ნაყოფიერებას. ამავე ცნობის სიმართლეს ადასტურებს გაზეთი „დეილი ხრონიკლი“, რომელიც აღნიშნავს, რომ პუანკარემ დაარწმუნა ლოიდ ჯორჯი საფრანგეთის ლოიალობაში კონფერენციის მიმართ, თუ ინგლისი არ გადაუხვევს ბულონის თათბირზე მიღებულ დადგენილებებს.

ხორდო, 10 აპრილი (რადიო). გაზეთ „მატენის“ ცნობით ლოიდ ჯორჯის შეხედულება, გენუას კონფერენციაზე განსახილველ მრავალ საკითხებში, ძალიან დაუახლოვდა საფრანგეთის შეხედულებას.

პარიზი, 10 აპრილი (რადიო). ინგლისის ჟურნალისტებთან ბაასის დროს ლოიდ ჯორჯმა პუანკარესთან უკანასკნელი შეხვედრის შესახებ განაცხადა, რომ იგი სავსებით კმაყოფილია ამ შეხვედრით. გაზეთ „ეხო დეპარი“-ს ცნობით შეხვედრის შედეგებით კმაყოფილია პუანკარეც. ლოიდ ჯორჯმა კვლავ დაადასტურა ბულონის თათბირის დადგენილებები. გაზეთი აღნიშნავს, რომ კონფერენციის გადადებამ დადებითი შედეგები მოიტანა, რადგანაც ამან საშუალება მისცა ლოიდ ჯორჯს სერიოზული გეგმის შემუშავებისა და პრაქტიკულ ზომების გამორკვევისა. გაზეთი „ეხო დეპარი“ იტყობინება, რომ პუანკარე მიიღებს მონაწილეობას გენუას კონფერენციის მუშაობაში, თუ მის დამთავრებამდის დაბრუნდება ჩრდილო-აფრიკის მოგზაურობიდან პრეზიდენტი მილიერანი.

პარიზი, 10 აპრილი (რადიო). გაზეთი „ჟურნალი“ იუწყება: ლოიდ ჯორჯს პუანკარესთან და ბართუსთან კამათის დროს, სრულებითაც არ გაურკვევია ის გარემოება, რომ საფრანგეთის დელეგაციას დეტალური ინსტრუქციები აქვს მიცემული. ლოიდ ჯორჯი აღიარებს, რომ კონფერენციის გადადებას ქონდა თავისი დადებითი შედეგები. პუანკარემ განაცხადა, რომ ისიც ყოფილიყო გენუას კონფერენციაზე. მაშინაც არ მიიღებდა გარკვეული გადაწყვეტილებებს თუ არ მოელაპარაკებოდა წინასწარ პრეზიდენტ მილიერანს და მინისტრთა საბჭოს.

ნეიტრალურ სახელმწიფოთა პოზიცია.

განოვერი. 10 აპრილი, (რადიო). ნეიტრალურ სახელმწიფოთა დელეგატები ჟენევაში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გენუას კონფერენციაზე შეერთებულ ბლოკით მათი გამოსვლა არ არის სასურველი.

ნაუენი. 10 აპრილი, (რადიო). ნეიტრალურ სახელმწიფოთა დელეგატებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც გულისხმობს, რომ ევროპის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც სერიოზულ ხასიათს ატარებს, გვიკარნახებს მთელი ღონისძიება მივმართოთ გენუას კონფერენციის მუშაობის ნაყოფიერად დამთავრებისაკენ. დელეგატები იზიარებენ ჰოლანდიის შეხედულებას გენუაზე. განსაკუთრებულ შეხედულებას ადგანან სკანდინავიის სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ამ თათბირს შედეგად მოჰყვა უარყოფა ბლოკის დაარსებისა.

სკანდინავია და გენუა.

ბერლინი, 10 აპრილი, (რადიო). „ფოსიშე ცეიტუნგი“ ამტკიცებს: სკანდინავიის სახელმწიფოები უშუალოდ დაინტერესებულნი არიან რუსეთის პრობლემის გადაჭრაში. აღნიშნულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები სდგან იმ თვალსაზრისზედ, რომ ევროპის აღდგენის საქმეს გაცილებით უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს დაუყონებლივ ვაჭრობის აღდგენა რუსეთთან, ვინემ ის პირობები რომელსაც ურდგენენ რუსეთს საფრანგეთი და მოკავშირეები.

იქნება თუ არა ლენინი გენუაში.

განოვერი, 10 აპრილი, (რადიო). ლონდონში რუსულ წრეებში ამტკიცებენ, რომ ლენინი მიიღებს მონაწილეობას გენუას კონფერენციაში. ამ შესაძლებლობაზე მიუთითებდა ჩიჩერინიც იტალიის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში.

ბერლინი. 10 აპრილი, (რადიო). ლონდონიდან მოსული ცნობების თანახმად, ლენინი გაემგზავრება გენუაში კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

დაცვის ზომები.

ნაუენი. 10 აპრილი, რადიო. იტალიის პოლიციამ მიიღო მთელი რიგი დაცვითი ზომებისა, გენუას მიდამოებში და თვით ქალაქში. დატუსაღებულია 14000 საეჭვო კაცი. დაპატიმრებულთა შორის ბევრია უცხოელები.

ლოიდ ჯორჯი გენუაში.

რომი. 10 აპრილი, რადიო. შაბათს იტალიის დელეგაციის მეთაური ფაქტ და იტალიის საგ[illegible] საქმეთა მინისტრი შანცერი შეხვდნენ ლოიდ-ჯორჯს.

ხორდო. 10 აპრილი, (რადიო). ლოიდ-ჯორჯი და სერ რობერტ ხორნი მივიდნენ გენუაში შაბათს. ინგლისის დელეგაციას შეხვდნენ და მიესალმნენ იტალიის მთავრობის წარმომადგენლები.

მეორე ბრესტ-ლიტოვსკი

ბერლინი, „ალგემაინე ტაიტუნგი“ რუსეთის მდგომარეობას გენუას კონფერენციის წინ ახასიათებს შემდეგნაირად: რუსეთის პოლიტიკის კარგად მკოდნე წრეები იმ აზრის არიან რომ რუსეთმა არ უნდა დაუშვას რომ გენუის კონფერენცია გადაიქცეს მისთვის ეკონომიურ პოლიტიკის მხრივ მეორე ბრესტ-ლიტოვსკად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოიქცევიან რუსეთის პოლიტიკოსები გენუის კონფერენციის გახსნის მომენტამდი, ე. ი. სახელმწიფოებთან უშუალოთ მოლაპარაკების დაწყებამდი. რუსეთისათვის მნიშვნელობა აქვს იმას რომ არ გამოცხადდეს ის გენუაში სრულიად უიარაღოდ. ამით ის თავიდანვე არ მისცემს ნებას აღძრან რუსეთის საკითხი თავიანთი გავლენის სფეროების დაყოფის შესახებ. გერმანიაში ზნეობრივად ვალდებულია, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი დაეხმაროს რუსეთს რომ იგი გამოვიდეს გენუის კონფერენციაზე სრულიად თავისუფლად. გერმანიამ ეს უნდა ჩაიდინოს იმიტომ რომ რუსეთი სრულიად არ უწევს ანგარიშს ვერსალის ხელშეკრულების მე 116 მუხლს და არ სურს დადგეს გერმანიის დამარცხებულ სახელმწიფოთა რიგში.

ყოველივე პოლიტიკური ეჭვიანობა გერმანიასა და რუსეთს შორის აცილებულ უნდა იქნას თავიდან რუსეთი, რათაც არ უნდა დაუჯდეს მას გენუის კონფერენციაზე უნდა გრძნობდეს თავს მტკიცე ნიადაგზე.

გერმანიის დელეგაცია

ნაუენ, 10 აპრილი (რადიო). გერმანიის დელეგაცია კანცლერ ვირტის მეთაურობით გაემგზავრა გენუაში.

დელეგატების ჩამოსვლა

რომი, 10 აპრილი რადიო. 8 და 9 აპრილს გენუაში ჩამოვიდნენ რუსეთის, სამხრეთ სლავიის, ბოლგარეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის იაპონიის, საფრანგეთის და პორტუგალიის დელეგაციები. ინგლისის დელეგაცია ჩამოვიდა 16 აპრილს. გერმანიის დელეგაციას ელიან 11 აპრილისთვის.

წინასწარი თათბირი

რომი, 10 აპრილი რადიო. 10 აპრილისათვის დანიშნული იყო წინასწარი თათბირი რამდენიმე საკითხების გადასაჭრელად, რომელიც დაკავშირებულია კონფერენციის დღის გამოსარკვევად.

პოლონეთი და გენუა

მოსკოვი. 11 აპრილი, (რადიო). გაზეთ „რეჩ პოსპოლიტა“-ს ცნობით 6 აპრილს ვარშავაში მინისტრთა საბჭოს დარბაზში ვინიაბსკის თავმჯდომარეობით, გაიმართა გენუაში მიმავალ დელეგაციის წევრთა თათბირი, პოლონეთის შიკრიკთა საზოგადოების დელეგატების მოხსენების მოსასმენათ. ეს დელეგატები, რომელნიც დაბრუნდნენ ვარშავაში რუსეთში ერთი თვის ყოფნის შემდეგ, იძლეოდნენ დაწვრილებით ახსნა-განმარტებას საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობაზე.

გერმანია და გენუა.

მოსკოვი. 11 აპრილი (რადიო. გაზეთი „ცაიტუნგი“ ენერგიულად ამტკიცებს გერმანიისათვის, მისი პოლიტიკის საბჭოთა რუსეთისა და ინგლისის პოლიტიკასთან, უფრო პირდაპირ და გადაწყვეტით შეთანხმების აუცილებლობას. ამასთან ერთად გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიისათვის საჭიროა უმტკივნეულოთ ებრძოლოს საფრანგეთის რეპარაციონულ პოლიტიკას, რომელიც ემუქრება გერმანიის საწარმოვო ძალების განვითარებას. გაზეთი ასაბუთებს გერმანიისათვის უფრო აქტიური „რუსული პოლიტიკის“ წარმოების საჭიროებას, არა მარტო რუსეთ-გერმანიის, საფრანგეთისგან იზოლიაციისათვის, საერთო ინტერესებით, არამედ საერთაშორისო პოლიტიკაში იმ პერსპექტივებითაც, რომელნიც ჩასახულ იყვნენ ვაშინგტონში და რომელნიც უფრო აშკარად ჩამოყალიბდებიან გენუაში. გაზეთი მთელ თავის იმედებს ამყარებს ინგლისზე და ცდილობს ჩაუნერგოს გერმანიის მთავრობას ის აზრი, რომ მისთვის აუცილებელია გამონახოს გამბედაობა მოსპოს ანტანტის მიერ წამოყენებული მოთხოვნილებათა „შესრულების პოლიტიკა“. „ის მნიშვნელობა, რომელიც ეძლევა გერმანიას, ამბობს გაზეთი, მტკიცდება მისი გენუას კონფერენციაზე, როგორც სრულუფლებიანი—წევრის, მოწვევით; ხოლო ეს მოწვევა დაკავშირებულია ინგლისის კაბინეტის ცხადი სურვილით რომ გერმანია არა თუ კიდევ დარჩეს ობიექტათ, არამედ შეიქნეს სუბიექტი საერთაშორისო პოლიტიკისა“.

კონფერენციის კომისიები.

მოსკოვი. 11 აპრ. (რადიო). ჰანოვერიდან 7 აპრილის თარიღით იუწყებიან: ტექნიკურმა ბიურომ გენუაში უკვე დაიწყო მოლაპარაკების მოსამზადებელი მუშაობა. დანიშნულია 4 კომისია: რუსეთის საკითხის შეიარაღების; კრედიტებისა, ნედლი მასალისა და ტრანსპორტის საკითხის შესახებ.

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია

მოსკოვი 10 აპრილი (რადიო). ჰანნოვერიდან 6 აპრილის თარიღით იტყობინებიან: 4 დღის მძიმე და რთული მუშაობის შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც ბევრჯერ დაიბადა საშიშროება კონფერენციის სავსებით ჩაშლისა, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერა სამივე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლებმა.

საფრანგეთის პრესა იხილავს რა კონფერენციის მუშაობას, აღნიშნავს რომ მიუხედავათ დიდი გახეთქილებისა, მაინც ჩაყრილია საფუძველი შეთანხმებული მუშაობისათვის. აღმასრულებელმა კომიტეტებმა ამოირჩიეს განსაკუთრებული კომისია (თვითეულ აღმას. კომიტეტიდან სამ-სამი წარმომადგენელი), რომელიც მოამზადებს შემდეგი კონფერენციის მოწვევის ნიადაგს. ადლერმა მწუხარება გამოსთქვა, რომ სამი ინტერნაციონალის კონფერენცია, ვერ მოხერხდა გენუას კონფერენციასთან ერთად. მისი წინადადების თანხმად, გადაწყდა მოეწყოს 20 აპრილისათვის საერთაშორისო დემონსტრაციი საქვეყნო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლისა—8 საათის სამუშაო დღისათვის რუსეთის რევოლიუციისათვის; დამშეულთა დახმარების აღმოჩენისათვის და რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენისათვის.

— შეთანხმების რეზოლიუციის მიღების შემდეგ ამხ. რადეკმა მესამე ინტერნაციონალის სახელით გააკეთა შემდეგი განცხადება: „კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის დელეგაციამ დიდიხნის მსჯელობისა და მძიმე ეჭვების შემდეგ გადასწყვიტა დაეთანხმოს ვენის ინტერნაციონალის დეკლარაციას. მისი ეჭვები პირველ ყოვლისა ეხებოდა იმ გარემოებას, რომ მე-2 ინტერნაციონალმა კატეგორიულად უარი განაცხადა დემონსტრაციის ლოზუნგებში აღნიშნულ ყოფილიყო ვერსალის ხელშეკრულობის გაუქმება. ამ რიგად საერთაშორისო დიადი მუშათა მოძრაობა ჩამორჩება უკან შორს მვერტელ დასავლეთ ევროპის ლიბერალებს. ეს გარემოება არ გვაძლევს საშუალებას დავრწმუნდეთ, რომ მე-2 ინტერნაციონალი მართლაც იბრძოლებს ყველა საშუალებებით გენუაში ახალი ვერსალის ხელშეკრულობის დადების საშიშროებისა და კაპიტალისტების შემოსევის წინააღმდეგ. მიუხედავათ ამისა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის დელეგაციამ გადასწყვიტა ხმა მისცეს საერთო რეზოლიუციას, თუმცა გენუის კონფერენციის დამთავრებამდის საერთაშორისო მუშათა კონფერენციის მოწვევის ცდა უშედეგოთ დამთავრდა, მე-2 ინტერნაციონალის წინააღმდეგობის მეოხებით. დიახ მიუხედავათ ყველა ამ მძიმე ეჭვებისა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის დელეგაცია იწონებს წამოყენებულ წინადადებას, რათა ხელი კი არ შეუშალოს, არამედ შეუწყოს ყოველგვარ, თუ გინდ მცირე ნაბიჯსაც კი,—გადადგმულს მთლიანი პროლეტარული ფრონტის შესაქმნელად. ამიტომ იგი უარს აცხადებს როზა ლიუქსემბურგის, ლიბკნეხტისა და ლევის მკვლელობის გამოძიებაზე და აგრეთვე გერმანიაში სამოქალაქო ომის თანხლებულ ყველა ბოროტმოქმედებათა გამორკვევაზე. ამავე მიზეზით იგი უარს ამბობს ამ წინასწარ კონფერენციაზე გარჩეულ ყოფილიყო მათი ის პირვანდელი წინადადება, რომლის მიზანიც იყო გამორკვევა სოციალ-დემოკრატიული პარტიების როლისა ლატვიაში, პოლონეთში, იუგო-სლავიაში და ჰუნგრეთში კომუნისტების დევნის საქმეში.

იგი იტოვებს უფლებას მოსთხოვოს (9) ცხრათა კომისიას დანიშნოს საგამომძიებლო კომისია ამა და სხვა ასეთი შემთხვევების გასარჩევად. ამავე მიზეზით იგი არ მოითხოვს გერმანიის სოციალ-დემოკრატიისაგან პროლეტარულ მებრძოლთა განთავისუფლებას; იგი უარს ამბობს გარჩეულ იქნეს ის პოზიცია, რომელიც დაიკავა ინგლისის [illegible] ირლანდიისა და ინგლისის კოლონიების მიმართ, [illegible] უფლებას დასვას ეს საკითხი მუშაობის შემდეგ პროცესში, მე 3 ინტერნაციონალის დელეგაცია აცხადებს, რომ თუ გაწყვეტილი არ იქნა კავშირი ბურჟუაზიის კოალიციის პოლიტიკასთან, იმ პოლიტიკასთან, რომელიც დასაბამია ყველა ზევით აღნიშნულ ფაქტებისა, ნამდვილი მთლიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა წარმოუდგენელია. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის დელეგაციამ გადასწყვიტა შეუერთდეს საერთო დეკლარაციას, მთლიანი პროლეტარული ფრონტის შემქმნელ იმ სუსტ ჩანასახს, რომელიც ამ დეკლარაციაში არის გამოსახული იმ მტკიცე რწმენით, რომ მიმდინარე ამბების ძალა აიძულებს პროლეტარულ მასებს ჩაებან ამ ბრძოლაში და შეაცვლევინ თავისი პოლიტიკა რეფორმისტულ მეთაურებს, თუ მათ არ სურთ, რომ პროლეტარიატმა ჩამოიცილოს ისინი თავის საერთო გზიდან.

მე 2 ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი აგრეთვე შეუერთდა ვენის ინტერნაციონალის დეკლარაციას.

კონგრესი დაიხურა ინტერნაციონალის მღერით.

მოსკოვი. 11 აპრილი, რადიო. არკვევს რა 3 ინტერნაციონალების აღმასკომების კონფერენციის შედეგებს, „როტე ფანე“ ამბობს, რომ კონფერენციამ ჩაყარა ბალავერი ერთიანი პროლეტარული ფრონტის შესაქმნელად. ამის შემდეგ პროლეტარულ მასებს შეუძლიან მოუმზადონ საერთაშორისო გამოსვლისათვის პრაქტიკული შედეგები კონფერენციისა, გაზეთის აზრით, უმნიშვნელოა, და ბრალი ამაში ედება მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენლებს მათი აშკარა საბოტაჟის ცდის გამო. თუ ერთად გამომუშავებული მოწოდება შეიცავს საერთაშორისო პროლეტარიატის მოქმედების ბუნდოვანად გამოთქმული პროგრამას, მაშინ ამის პასუხისმგებლობა ეკისრება მე 2 ინტერნაციონალს, რომელიც სრულ დამოკიდებულებაში იმყოფება ანტანტის კაპიტალისტურ მთავრობებთან. „როტე ფანე“ მწუხარებას გამოთქვამს, რომ მუშების საერთაშორისო კონგრესი არ იქნება მოწვეული ერთდროულად გენუას კონფერენციასთან. გაზეთი ამის პასუხისმგებლობას პირველ რიგში აკისრებს მე 2 ინტერნაციონალის ბელადებს. მისი აზრით ვენის ინტერნაციონალმა კომუნისტებთან ერთად დაიცვა რა კონფერენცია ჩაშლისაგან, დაამტკიცა, რომ მნიშვნელოვან შემთხვევებში ის ეთიშება მე 2 ინტერნაციონალს. ბოლოს გაზეთი ხაზს უსვამს იმ როლს, რომელსაც ასრულებდა კონფერენციაზე გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტია და რომელიც დაესწრო კონფერენციას, როგორც უტყვი მონაწილე.

„ფრეიხაიტ“ ამტკიცებს, რომ სამ ინტერნაციონალების კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა ერთიანი პროლეტარული ფრონტის შექმნას. საერთო მოწოდება მაჩვენებელია საერთაშორისო პროლეტარიატის დახლოების ყოველი დღიური პრაქტიკული ბრძოლის ნიადაგზე.

„ფორვერტსი“ ფარავს თავის ცდას საბოტაჟისადმი საქმის ნამდვილი ვითარების ტენდენციური დამახინჯებით. მაგალითად: კონფერენციის ანგარიშები იბეჭდებოდა გაზეთებში სათაურით „ვენა და ლონდონი მოსკოვის წინააღმდეგ“. ანგარიშები თავდება პათეტიური: „ერთიანი ფრონტი შეიქმნება, მაგრამ არა მოსკოვის მიერ, არამედ მოსკოვის წინააღმდეგ“.

რუსეთი და საფრანგეთი

პარიზი. გაზეთი „ტანი“ რუსეთის შესახებ მოთავსებულ წერილში სწერს: იმ ნაკლულევანებათ და უბედურებათ რომელსაც განიცდის რუსეთი, მიყავს იგი ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობამდის. ეს შეიძლება უფრო დაჩქარდეს გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით; მაგრამ მიუხედავათ კონფერენციის შედეგებისა, რუსეთის ევროპიულ სახელმწიფოებთან და მათ შორის საფრანგეთთან, დამოკიდებულების საკითხი, უნდა გადაწყდეს უახლოეს მომავალში. მაშასადამე საფრანგეთი იძულებული იქნება დადგეს პირისპირ რუსეთის წინაშე. ამას უნდა ჩაუფიქრდეთ: უნდა შემუშავდეს აზრი მანამდის, სანამ იგი ჩამოყალიბდებოდეს გარკვეულ კონკრეტიულ გადაწყვეტილებებში. შემდეგ გაზეთი „ტანი“ ახსენებს საბჭოთა მთავრობის 4 წლის გამოცდილებას და ჩერდება მსხვილ კერძო მესაკუთრეთა ადგილ-მამულის გლეხობის შორის დანაწილებაზე. „ტანის“ აზრით შეიძლებოდა ამის მიღწევა რევოლიუციის გარეშეც, მიწით სარგებლობის იმ სისტემის თანდათანობითი განვითარებით, რომელიც დაწესებული იყო 1905 წლის რევოლიუციის დროს. ბოლშევიკური დეკრეტების გახსენებას გაზეთი მიჰყავს იმ დასკვნამდის, რომ „ამ დოქტრინების სრულებითაც არ უნდა გვეშინოდეს.“

ეხება რა შემდეგ წითელ არმიას გაზეთი სწერს: „მას შემდეგ რაც ლაპარაკი სწარმოებს გენუის კონფერენციის შესახებ, საბჭოთა მთავრობა ძალიან ხშირად გვიჩვენებს წითელი არმიის ძალს, რომელსაც დავალებული აქვს არა მარტო საზოგადოების დაცვა, არამედ რუსეთში არსებული პოლიტიკური ხელისუფლების განმტკიცებაც. დასავლეთ ევ-

ცისკრის შუქი

ფრთა ნაცქვეტმა ცისკრის შუქმა ცის ეთერით მონაბერმა
განთიადით ნაფერ სხივზედ ცეცხლის ისრად ანაპერმა
სხივთ ძაფებით ჰორიზონტზე ამოჰქარგა ზეცის კიდე
ცეცხლი სტყორცნა შავ ბნელ წყვდიადს, შემოაწვა შავი რიდე.

და გიჟ ნიავს ნამ განბანილს ხის ფოთლებში მიძინებულს,
სახოების ფრთა შეასხა შავ წყვდიადით დამონებულს;
ფრთა გაშალა დილის სიომ, განახლების იგრძნო ძალა,
ჩაუქროლა გარინდულ ტყეს, შავი ნისლი აალალა;

მოეფინა მწვანე მდელოს აათრთოლა, აალელვა
და აქაჩრილ მთისა წვერზედ გამოაკრთო სხივთა ელვა,
თითქოს ერთხმად ყოველივე შესძახოდა ცისკარს დიადს:
გაუმარჯოს ოქროს სხივებს! გაუმარჯოს ლალ განთიადს!

გ—ძე.

როპის სახელმწიფოთ არა აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა აიძულონ რუსეთი განიარაღდეს, მაშინაც კი თუ სახელმწიფონი ხელს მოაწერენ რუსეთთან ერთად განიარაღების კონვენციას. დასავლეთ ევროპის სახელმწიფონი მოკლებულნი არიან ტეხნიკურ შესაძლებლობას კონტროლი გაუკეთონ ამ ვალდებულების სათანადოთ შესრულებას. შეიძლება ეს სამწუხარო მოვლენა იყვეს, მაგრამ ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ იმდენათ, რამდენათაც საბჭოთა მთავრობა ანგარიშს უწევს ცხოვრების მოთხოვნილებას და ეცდება მომენტის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, იმდენათ იგი თანდათან გახდება რუსეთის ნაციონალურ ინტერესების დამცველად. მართალია, საბჭოთა მთავრობა თავს ტენდენციებში ყოველთვის ეყრდნობა საერთაშორისო რევოლიუციას, მაგრამ იმავე დროს იგი აუცილებლად გამომდინარეობს ნაციონალურ მოტივებიდან: პეტრე დიდისა და ელისაბედის დროიდან ლენინამდე, რუსეთის და საფრანგეთის ძირითადი ინტერესები არას დროს არ ეწინააღმდეგებოდენ ერთი მეორეს. ამიტომ ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები და საერთოდ, ცნობილი ბოლშევიკები ბერლინში მიუთითებდნენ რუსეთის საფრანგეთთან თანამშრომლობაზე. ეს ხოლოდ ამტკიცებს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩიჩერინის ძლიერმა ზრდილობიანმა უკანასკნელ დეპეშამ ტყვეთა შესახებ. ეს ინიციატივა, რომელიც გამოიჩინა ჩიჩერინმა, უფლებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ რუსეთის პროპაგანდა ბოლოს და ბოლოს აღარ შეაწუხებს საფრანგეთს. რუსეთმა და საფრანგეთმა უნდა იცოდენ, რომ საფრანგეთ სა და რუსეთს შორის თანამშრომლობის შესაქმნელად, საჭიროა ერთი და მეორე მხარეც დადგენ ნაციონალურ ინტერესების ნიადაგზე, ვინაიდან ორივე სახელმწიფოს სწორად გაგებულ ინტერესებს შეუძლია მიგვიყვანოს ურთიერთ გულწრფელ შეთანხმებამდის“.

გენუა და რუსეთის ვალები

პარიზი. გაზეთი „ტანი“ სწერს: „ზოგიერთი ცნობები გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ რუსეთის ვალების საკითხი შეიძლება გახდეს ვაჭრობის საგნათ. ჩვენ კი უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაუტოვოთ ამ საკითხს წმინდა ფინანსიური პრობლემის ხასიათი. რუსეთის ვალები სხვა მეომარ-სახელმწიფოთა ვალებთან შედარებით უფრო პატარა არის. მაგრამ განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ვალები იქნეს ცნობილი და გადახდილი. ეს საყურადღებოა საფრანგეთისათვის, რადგან იგი დავალიანდა და იმისათვისაც, რომ წვრილმა ფინანსისტებმა, რომელთაც მისცეს თავისი ფული რუსეთს, არ უნდა დაკარგონ თავისი თანხები. ეს მნიშვნელოვნია თვით რუსეთისათვისაც, რადგან მომავალი კრედიტი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენათ ლოიალურათ მოექცევა იგი თავის ვალდებულებათ“.

შემდეგ გაზეთი სწერს: „ამ უკანასკნელ ხანებში მრავალჯერ გვაუწყეს, რომ საბჭოთა რუსეთი წარუდგენს მოკავშირეთ მოთხოვნილებას იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მან განიცადა სამოქალაქო ომის განმავლობაში არსებითად მოკავშირეთ არ უნდა ეშინოდეთ რუსეთის ამგვარი პრეტენზიისა. შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი შემთხვევა: 1. თუ ამ საკითხს მიუდგებით იმ ვალდებულებათა თვალსაზრისით, რომელიც თავს იდო საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებითა და გერმანიასთან 1918 წ. 27 აგვისტოს დადებულ ხელშეკრულებით, მაშინ რუსეთმა უარი უნდა განაცხადოს მიყენებულ ზარალის ყოველგვარ ანაზღაურებაზე, რადგანაც მას თვით დასჭირდებოდა უცხოელების იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მათ მოუვიდათ საბჭოების ბატონობის დროს.

2. წარმოვიდგინოთ, რომ საომარი მოქმედებანი მართლაც ბადებენ შესაძლებლობას საბჭოთა რუსეთისათვის მიყენებული ზარალის მოკავშირეთაგან ანაზღაურებისას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მოკავშირეებს შეუძლიათ მოითხოვონ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მათ განიცადეს 1918 წელში, როდესაც რუსეთი დანაწილდა. ძალიან ადვილია იმის დამტკიცება, რომ 1917 წლის დროებითმა ზავმა და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ განსაკუთრებით, მისცეს გერმანიას ომის გაგრძელების შესაძლებლობა, რომელიც მოკავშირეებს დაუჯდათ ამოდენ მსხვერპლად, განადგურებათ და აოხრებათ. თუ ამ უზარმაზარ გასავლებს გამოვიანგარიშებთ, და მოვთხოვთ რუსეთს მის ანაზღაურებას, ცხადია, რომ ამით რუსეთის ვალები სრულებით არ შემცირდებიან“.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

„ფრონტის მტრები“.

მოსკოვი 10 აპრილი (რადიო). გაზეთი „იზვესტია“ ეხება რა სამი ინტერნაციონალის კონგრესს, აღნიშნავს ვანდერველდეს ცდას კონფერენციის ჩაშლისას. „ამ ჟამად, სწერს გაზეთი ის ჩვენი ამხანაგები, რომელნიც არ იზიარებენ მთლიანი პროლეტარული ფრონტის პოზიციას, შეიძლება დარწმუნდენ თავის შეცდომაში. როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ ყველაზე უფრო გაილაშქრა მე-2 ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა. უკვე ბაზელის თათბირზე მე 2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელები ილაშქრებდენ მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ და სცდილობდენ ჩაეშალათ ბერლინის თათბირის მოწვევა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ეს თათბირი მაინც მოხდა. შეთანხმების ჩაშლის ცდას მხარს უჭერდა აგრეთვე ვენის ინტერნაციონალის მარჯვენა ფრთაც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლის ფორის სახით. პროკურორის როლი, როგორც ეს ირონიულად აღნიშნა სერატიმ, სრულებით არ უხდებოდათ ბბ-ნნ ვანდერველდეს, ფორსა და მათ თანამოაზრეთ. მე 2 ინტერნაციონალის წარმომადგენლები შეგნებულათ თუ შეუგნებლად გამოდიოდენ ბურჟუაზიის დავალებით, რომლისთვისაც ძლიერ მნიშვნელოვანია არ დაუშვას მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნა და საერთაშორისო პროლეტარიატისაგან საბჭოთა რუსეთისადმი, გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით ერთსულოვანი სიმპატიის გამოცხადება. მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. ვენის ინტერნაციონალის და იტალიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები არ გაყვენ მეორე ინტერნაციონალს. ალბათ იმ ერთი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც შეწყვეტილი იყო თათბირის სხდომები, ადგილი ქონდა მე-2 და მე-2 ნახევ. ინტერნაციონალების მოლაპარაკებას კომუნისტების წინააღმდეგ შეერთებული ბლოკის შესაქმნელად. მაგრამ ვერაფერს ვერ იზამ. ისინი იძულებულნი გახდენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი კომუნისტურ ინტერნაციონალთან, იბრძოლონ ცხადი და მალულ სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ. მაგრამ სხდომის განახლებისას იტალიელებმა მკაცრად გაილაშქრეს მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ და გამოააშკარავეს მათი საიდუმლო ზრახვები. აი რატომ ჩაუფიქრდენ უცბათ თავის მდგომარეობას მე 2 ინტერნაციონალის დელეგატები და მათ უკანასკნელ სიტყვაში გაისმა შემარიგებელი ტონი.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისის მოთხოვნილებანი.

ლონდონ. 8 აპრ. რადიო დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მიმართა საფრანგეთს, იტალიას, პორტუგალიას, საბერძნეთს, რუმინეთს და სერბიას წინადადებით შეუდგენ ინგლისის მიერ მათთვის მიცემულ სესხის პროცენტების გადახდას. ამ წინადადებას სარჩულად უდევს ამერიკის მოთხოვნილება პროცენტების დავალების გადახდისა.

საფრანგეთის კონტროლი

ნაუენი 10 აპრილი (რადიო). „ნიუ-იორკ ვორლდ“ აღნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის მოთხოვნილება პროცენტების გადახდის შესახებ ინგლისის სესხისა არის მხოლოდ საშუალება იმისთვის, რომ აიძულოს საფრანგეთი კონტრიბუციის პრობლემის გადასინჯვაზე და გამოძებნოს მოკლე გზა იმისათვის რომ გამოგლიჯოს ხელიდან პუანკარეს გერმანიაზე კონტროლი.

ანტი გერმანული პოლიტიკა

ბერლინი, 10 აპრილი (რადიო). „ევრი“ ეხება რა ლოიდ ჯორჯის და პუანკარეს შეხვედრას, წერს: მიუხედავად პუანკარესა და ლოიდ ჯორჯის შეთანხმებისა პუანკარე მაინც ფიქრობს მიიღოს თავის ზომები გერმანიის წინააღმდეგ. „ევრის“ სიტყვით ლოიდ ჯორჯს არ სურდა განეხილა პუანკარესთან შეხვედრის დროს განიარაღების და ომის წინა ვალების საკითხი.

გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტთა შორის

მოსკოვი. 10 აპრილი (რადიო). გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიის დაშლა გრძელდება. მის შემდეგ, როდესაც დამოუკიდებელთა მემარჯვენე ოპოზიციონურმა ჯგუფმა განაცხადა პარტიიდან გასვლის შესახებ, ცენტრალური კომიტეტი შეუდგა პარტიიდან რედაქციის წევრის გამორიცხვის საკითხის.. (დამახინჯებულია)... გლიპშიცი, რადგანაც იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას რედაქციის მეუმრავლესე სოციალისტების ორგანოდ გადაკეთების შესახებ.

სემიონოვის დაპატიმრება

ბერლინი, 10 აპრილი (რადიო). ვაშინგტონში დაუპატიმრებიათ შორეულ აღმოსავლეთიდან ცნობილი სემიონოვი, რომელსაც ბრალდება უცხოელთა ქონების გატაცება ჩიტაში 1919 წელს. დაკითხვის შემდეგ სემიონოვმა განაცხადა, რომ ის არ უარყოფს ამის შესაძლებლობას და ითვისებდა ყოველივე იმას, რაც სასარგებლო იყო მისთვის, მზგავსად იმისა როგორც იქცეოდნენ ბოლშევიკები. სემიონოვმა დაადასტურა განცხადება საერთაშორისო რკინის გზის კომისიის ამერიკის წარმომადგენლის ციმბირში, რომ ის (სემიონოვი) არ იყო ცნობილი არც ერთ სახელმწიფოთაგან. ამავე დროს სემიონოვმა სთქვა, რომ მან ბევრი ფული მიიღო იაპონიისაგან, საფრანგეთისგან და ინგლისიდგან, რითაც ის თავს ინახავდა მთელი 1918 წლის განმავლობაში.

განოვერი. 10 აპრილი (რადიო). სკანდინავიის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, გამოსთქვეს სურვილი რუსეთთან დაუყონებლივ ვაჭრობის აღდგენისა ომამდე არსებულ ფარგლებში. სკანდინავიის დელეგატთა შეხედულობით ის მოთხოვნილებები, რომელსაც ნეიტრალური სახელმწიფოები უდგენენ რუსეთს აფერხებენ ევროპის ეკონომიური აღორძინების საქმეს.

ლოიდ-ჯორჯის სიტყვის შესახებ.

მოსკოვი. 10 აპრ. რადიო. ლონდონიდან 4 აპრილის თარიღით იტყობინებიან: ინგლისის პრესა განაგრძობს ლოიდ ჯორჯის უკანასკნელი სიტყვის შესახებ მსჯელობას. ამ სიტყვით არ არის კმაყოფილი არც მუშათა, არც ლიბერალური და არც კონსერვატიული წრეები. ასე მაგალითად გაზეთი „დეილი გერალდი“ უწოდებს ლოიდ ჯორჯს ცოცხალ ლეშს. ბრეფორდი იმავე გაზეთში აღნიშნავს, რომ თუ ლოიდ ჯორჯმა მოითხოვა საბჭოთა მთავრობის ცნობამდის რუსეთისათვის დაწესებულ იქნეს გამოცდის პერიოდი, ამით ჩვენ უნდა გამოვეთხოვოთ უკანასკნელ იმედს გენუის კონფერენციისაგან რაიმე ნაყოფის მოცემისას. „მე არ ვფიქრობ, სწერს ბრეფორდი რომ მოსკოვი დაეთანხმოს ასეთ გადაწყვეტილებას ისევე, როგორც არ ვფიქრობ, რომ ჩერჩილი, ჩემბერლენი და პუანკარე როდისმე დაკმაყოფილდენ გამოცდის პერიოდის შედეგებით, რამდენხანსაც არ უნდა გაგრძელდეს იგი“. დასასრულ ბრეფორდი ენერგიულად მოითხოვს რუსეთის დაუყოვნებლივ ცნობას.

პოლონეთი და რუსეთი.

მოსკოვი, 10 აპრილი. რადიო ლონდონიდან 5 აპრილის თარიღით იუწყებიან: პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკირმუნტმა განაცხადა, რომ პოლონეთს სრულიად არა აქვს განზრახვა მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა რუსეთზე რაიმე თავდასხმაში. მან კატეგორიულად უარჰყო ხმები თითქოს პოლონეთი მფარველობას უწევდეს პეტლიურას და ვრანგელის ახალ გამოსვლებს.

სკირმუნტმა განაცხადა, რომ პოლონეთი სრულებითაც არ გაუწევს წინააღმდეგობას რუსეთის დე-იურეთ ცნობას. პოლონეთი თანახმაა, გახდეს დერეფნად რუსეთს და გერმანიის ვაჭრობის საქმეში

ინგლისი—კრედიტორი.

მოსკოვი. 10 აპრ. რადიო. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, ინგლისის მთავრობის ნოტა, მისდამი კუთვნილი თანხების გადახდის შესახებ, გაეგზავნა საფრანგეთს, იტალიას, პორტუგალიას, რუმინიას, სერბიას და საბერძნეთს. მოვალეებს მიეცათ 6 თვის ვადა.

აღმოსავლეთში

ანგორა იღებს წინადადებას დროებითი ზავის შესახებ.

ტრაპიზონი. 8 აპრილი. (რადიო.) 8 აპრილს გამოცემულ იქნა გაზეთ „ისტიკბალის“ სპეციალური ბიულეტენი, რომელიც იუწყება, რომ: იუსუფ ქემალ ბეის მოხსენების მოსმენისა და ცხარე კამათის შემდეგ ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ ხმის უმრავლესობით მიიღო წინადადება დროებითი ზავის შესახებ ამასთან განსაზღვრულია მთელი რიგი პირობებისა, რომელიც მოყვანილია დროებით ზავის წინადადების პასუხში, ამ პასუხში, რომელიც ხელმოწერილია იუსუფ ქემალ ბეის მიერ, ნათქვამია, რომ პრინციპიალურად მიღებულია პირობები დროებითი ზავის წინადადებისა 4 თვის ვადით. დროებითი ზავის ჩამოგდების პირველ პირობათ აღნიშნულია ბერძენის ჯარის 15 დღის განმავლობაში ესკი შეხრის, კუტაიის და აფიონკარა გისარის რაიონებიდან გაყვანა. ამ ქალაქების გაწმენდის შემდეგ ისინი შერეული კომისიის მიერ უნდა გადაეცეს ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობას. მეორე პირობათ მიჩნეულია, დროებითი ზავის ხელის მოწერიდან 4 თვის განმავლობაში, საბერძნეთის ჯარების ევაკუაცია ანატოლიიდან და მათ შორის სმირნიდანაც. თუ ევაკუაციის დამთავრებამდე მოლაპარაკება ვერ მიაღწევს სასურველ შედეგებს, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა თანახმაა განაგრძოს დროებითი ზავის ვადა კიდევ 3 თვით. თუ ეს პირობები მიღებულ იქნებიან, ანგორის მთავრობა მზადაა დროებითი ზავის წინადადების ხელის მოწერიდან 3 კვირის განმავლობაში, გაგზავნოს თავისი დელეგაციები ზავის პირობების გამოსარკვევად. დროებითი ზავი უნდა განხორციელდეს ძლიერ დაჩქარებით, რათა არ იქნეს განმეორებული წარსული წლის ლონდონის კონფერენციის მაგალითები, როდესაც მეფე კონსტანტინემ, ისარგებლა რა დროებითი ზავით დაიწყო შეტევა. ეს ოფიციალური პასუხი ხელმოწერილია ანგორის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრის იუსუფ-ქემალბეის მიერ. იგი გაეგზავნა პარიზის ახლო-აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ შეკრებილ კონფერენციას.

ანგორა და კონსტანტინეპოლი.

ანგორა 1 აპრ. (რადიო) დროებითი ზავის წინადადების გარდა პარიზიდან მოვიდა ახალი ნოტა, რომელიც სევრის ხელშეკრულების შეცვლას შეიცავს და წინადადებას აძლევს ანგორის მთავრობას დაემორჩილოს სულთანის მთავრობას.

ვრანგელელთა შორის

ვრანგელელნი ბულგარეთში

მოსკოვი, 10 აპრილი რადიო. მინისტრთა საბჭომ ბულგარეთში წინადადება მისცა ვრანგელის სამხედრო ნაწილებს შეიტანონ ის ჯამი, რომელიც საჭიროა მათი შენახვისთვის და შეუდგენ დაუყონებლივ და საბოლაო განიარაღებას ჯარისა და აგრეთვე აიძულონ სამხედრო ნაწილები მუშაობის დაწყებაზე. ბულგარეთის მთავრობა გადასდგამს ნაბიჯებს, რომ მიაღწიოს საბჭოთა მთავრობის მიერ ვრანგელელებისთვის ამნისტიის მინიჭებას და გაუადვილოს მათ სამშობლოში დაბრუნება. დადგენილებაში აღნიშნულია რომ ვრანგელის ნაწილებს არ შეუძლიათ ისარგებლონ სამხედრო ნაწილების უფლებებით და რომ რუსებს ბულგარეთში არა აქვთ უფლება იარაღის ტარებისა.

ბულგარეთის კომპარტია და ვრანგელი

მოსკოვი, 10 აპრილი რადიო. ბულგარეთის ქალაქებში და სოფლებში ბულგარეთის კომპარტია აწყობს მასიურ კრებებს, რომელნიც მოთხოვნილებას უყენებენ მთავრობას ვრანგელის ჯარის განიარაღების და ბულგარეთიდან რუს მემამულეების და კონტრევოლიუციონერების გაყვანისა და აგრეთვე საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

ვრანგელის გეგმები

მოსკოვი, 10 აპრილი რადიო. ვენიდან 4 აპრილის რიცხვით იუწყებიან: ვრანგელმა განუცხადა ბუდაპეშტის გაზეთის თანამშრომელს რომ მას არა აქვს განზრახული დაესხას თავს საბჭოთა რუსეთს, მაგრამ აწყობს ჯარს რიცხვით 50,000 კაცამდე. ბელგრადის გაზეთი იტყობინება რომ ვრანგელი ოფიციალურად აწყობს რაზმს ამასთანავე უნგრეთის მთავარსარდალი გენერალი სოოტენი მოიხრეა ვრანგელთან მხედრო კავშირისა. ბულგარეთის მთავრობამ დაადგინა მოეპყრას ვრანგელს ისე როგორც ჩვეულებრივ ლტოლვილს. ვრანგელის ჯარისკაცებს წინადადება მიეცა თავი შეიკავონ ყოველგვარ მანიფესტაციებისაგან.

„ახალი კონდოტიერი“

მოსკოვი, 10 აპრილი რადიო. ბარონ ვრანგელი მოწადინებულია ერთხელ კიდევ სცადოს თავისი ბედი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთ განძრახვებს ის ფარავს ცრუ რწმუნებით ვრანგელი ამბობს, რომ ის ქმნის ჯარს იმ ქვეყნის დასაცავად რომელსაც თავს ესხმის ბოლშევიკური ჯარი. „ვრანგელმა განაცხადა, წერს პრავდა, რომ ის არ ემზადება საბჭოთა რუსეთზე თავდასასხმელად და აწყობს 50 ათასი ჯარს რათა დაეხმაროს იმ სახელმწიფოს, რომელზედაც საბჭოთა რუსეთი მოიფიქრებს შემოტევას. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ ვრანგელის მხრით არსებობდეს რაიმე საფრთხე. ჯარების თავის მოყრა უკეთეს შემთხვევაში ემუქრება თვით ბარონ ვრანგელს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთხელ კიდევ ბედის ცდით. და ამიტომ ის წინასწარ სთავაზობს თავის თავს სამსახურს ყველა იმათ, ვისაც კი თავდაცვა დასჭირდება ბოლშევიკებისაგან“.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია

აზერბეიჯანში

ბაქო. 7 აპრილი, (რადიო). **ნავთის ფრონტზე.** 6 მარტამდი ბაქოს ნავთის ადგილებში გაბურღულია 1,274 საჟენი მანძილი ე. ი. 857 საჟენით მეტი ვიდრე თებერვალში, რაც აიხსნება მუშაობის ინტენსივობით და საბურღვი დაზგების რიცხვის მომატებით. თებერვალში ბურღვას აწარმოებდა 41 დაზგა, რომლებიდანაც 29 იყო მიჩნეული დამკვრელად. მარტში დაზგების რიცხვი გადიდებულ იქნა 53 მდე, რომლებიდანაც დამკვრელი იყო 34. ბრუნვითი მუშაობით გავლილია 967 საჟენი, დამკვრელით—307. მარტში დაიწყეს ძველი და ახლი 12 ნავთის ნაპრალის ბურღვა. მარტში სულ ბურღვაში გატარდა 53. 3 ნაპრალის ბურღვა გათავდა და გადაეცა საექსპლოატაციოთ: ერთი რომანაში ორი—ბიბი-ეიბათში. მარტში ერთი დღის განმავლობაში გაბურღულ ნაპრალების საშუალო რიცხვი უდრიდა 41,66 საჟენს. მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ თვეს—ოქტომბერში გაბურღულ ნაპრალის საშუალო რიცხვი უდრიდა 6,77. მაშასადამე მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მუშაობის ნაყოფიერებამ მოიმატა 619,7 პროც. ამავე ხნის განმავლობაში პროგრამის მიხედვით ბურღვით უნდა გაგვევლო 2644 საჟენი, გავლილია ნამდვილად 2783 საჟენი. ამნაირად ბურღვა ბაქოში დადგა მტკიცე, ნიადაგზე და მოჰყვა ბრწყინვალი შედეგები, მაგრამ სწორედ ინტენსიური მუშაობის დროს აზნავთს წინ გადაეღობა დაბრკოლება საშუალებების უქონლობა. სათბობი მასალის მთავარმა კომიტეტმა წაიღო აზნავთიდან სავალიუტო საქონელი და სამაგიეროდ ვერაფერი მისცა. სახსარის უქონლობის გამო აზნავთს განზრახული აქვს ბურღვის შემცირება.

კალია. პეტროპავლოვსკის მაზრაში კიზილ-ტაპას მიდამოებში 5 აპრილს დაიწყო მინდვრის კალიის მოგერიება.

ტრესტინის ბაზარი. ტრესტინის ბაზრისათვის მზადება მიმდინარეობს ჩქარი ტემპით. აზნავთი ბაზარზე მიიღებს მეტად ფართო მონაწილეობას და გამოიტანს ყველა თავის პროდუქტების ნიმუშებს და დიაგრამებს, რომლებიც ასურათებენ მდგომარეობას და წარმოების შესაძლებლობას. მაზრაში მონაწილეობას მიიღებს ამიერ კავკასიაში მომქმედი თითქმის ყველა კოოპერატივები და ზოგიერთი კერძო ფირმები. გამოფენილი იქნება აუარებელი ნიმუშები ხე ტყისა და სამთამადნო საქმეში და ყველა დარგებში, რომლებსაც აერთებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. განზრახულია გააგზავნონ ბაზარზე პროფესორ გულენსკის გამოგონებული ხე-ტყის დამმუშავებელი აპარატი, რომელიც ქმნის მთელ ეპოქას ამ დარგში და რომელიც ამ ჟამად პრაქტიკულად მუშაობს ბათომში. იმედი გვაქვს ექსპონატების ნაწილი ტრიესტიდან გაგზავნილი იქნება ბრატისლავის (ჩეხო-სლოვაკია) ზაფხულის ბაზარზე- არის წინადადებები გავაგზავნოთ ექსპონატები აგრეთვე სხვა გამოფენებისთვისაც, რომლებიც განზრახულია დასავლეთ ევროპაში, რაც მოიზიდავს ამიერ-კავკასიის რესურსებისა და ეკონომიურ შესაძლებლობისადმი ევროპის ყურადღებას.

სრულიად აზერბეიჯანის საბჭოების მეორე ყრილობა. პროლეტარულ რევოლიუციის 2 წლის თავზე, 28 აპრილს ბაქოში დანიშნულია სრულიად აზერბეიჯანის საბჭოების მეორე ყრილობა. აზერბეიჯანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა აცნობა ყველა ძმურ საბჭოთა რესპუბლიკებს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ყრილობაზე სტუმრებად

უმუშევრები 1 აპრილისათვის აღნუსხული უმუშევრების რიცხვი უდრიდა—1420 კაცი და 1655 ქალს.

პროფესორ უსპენსკის დასაფლავება. ორ აპრილს მოხდა დასაფლავება პარტახტიანი ტიფისაგან გარდაცვლილ ნ. ს. უსპენსკის—ბაქოს პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ზოოლოგიის პროფესორისა.

ზაქათალის ოლქში. ზაქათალიდან იტყობინებიან, რომ შარა გზა, რომელიც მიდის ევლახიდან ნუხის მაზრით ზაქათალის ოლქში, იმყოფება საშინელ მდგომარეობაში. ნუხის მაზრის ფარგლებში გზის შეკეთება დაწყებულია. დაწყებულია აგრეთვე მდინარე კურმუხჩაის ჯებირების შეკეთება, რომელსაც ყოველ წელს მიქონდა კახის რაიონის მნიშვნელოვანი ნაწილი და მასთან ერთად ბაღჩები, სახლები, ტყე და სხვ. თუ გაზაფხულის წყალდიდობამდის ჯებირებზე მომუშავე მუშების მატერიალური მდგომარეობა არ იქნა გაუმჯობესებული დამკვრელი წესით, დაწყებული მუშაობა სავსებით დაიღუპება ფოსტა ტელეგრაფის უწყება იმყოფება მძიმე მდგომარეობაში. ცხენები თითქმის სულ აღარ არი. ბაქოდან კორესპონდენციას ვღებულობთ ხანდისხან 2 თვის შემდეგ. ზოგიერთ ადგილებში ტელეგრაფის ხაზები არაა შეკეთებული.

სომხეთში.

ერევანი. 8 აპრილი (რადიო) ეკონომიურ თათბირმა დაადგინა დაიწყოს ნედლი მასალის პლანომერული რეალიზაცია. პირველ რიგში განზრახულია რეალიზაციისათვის ბამბა და კონიაკი რუსეთის და უცხოეთის მაზრებზე. მუშაობა რეალიზაციისათვის დაეკისრა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომელმაც უკვე რეალიზაცია მოხდენილ საქონლის თანხიდან უნდა გადასდოს სპეციალური ფონდი სავალიუტო ნედლი მასალის დასამზადებლად.

ეკონომიურმა თათბირმა მიიღო საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წინადადება საბჭოთა სომხეთის ფინანსიურ მონაწილეობის შესახებ ჩატახის თუჯის ჩამოსხმულ ქარხნის ექსპლოატაციებში.

წაღების სახელოსნო. სახალხო სასურსათო კომისარიატის წაღების სახელოსნოში მუშაობა სწარმოებს გაძლიერებულ ტემპით. სახელოსნოში მუშაობს 96 მუშა 10 საკერავი მანქანით და დღეში ამზადებენ 70 წყვილს რბილ წაღას.

სიმშილი. სიმშილი იდჟევანში ძლიერდება. ყოველ დღე მთელ მაზრაში იხოცება სიმშილისაგან 120—150 კაცი. ცენტრიდან მიღებული 2000 ფუთი ხორბალი დააკმაყოფილებს მხოლოდ მცხოვრებლების 30 პროც.

ზანგეზური. თესვა ზანგეზურში უკვე დაიწყო. თესვის კომიტეტი ენერგიულად ეხმარება ადგილობრივ გლეხებს. ზანგეზურში მოიტანეს უკვე 4215 ფ. ფქვილი, რამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ მცხოვრებლებზე.

საქართველოში.

აჭარა

ბათომი 1 აპრ. **ბათომის ბაზარი.** ბულგარეთის ფქვილი—11 ლირა, ამერიკის—11 დან 12, 50 ლირამდი, თავი შაქარი—ფუთი 1155 პიასტრი, თევს ფხვნილი—315 პიასტრი ფუთი, გოლანდიის,—330 პ. ფუთი, ამერიკის—232 პ. ფ., ბრინჯი ხნის—4 ლირა ფუთი, სახარინი—18 ლირა კილო, მარილის 15 ლირა ფუთი.

ბანდიტები გორის მაზრაში.

ბორჯომი 1 აპრილი. 28 მარტს ღამით ბორჯომის სადგურში გორის მაზრის პოლიტბიუროს თანამშრომლებს მეჰყავდათ დატყვევებული ცნობილი ბანდიტი ფირია მათ თავს დაესხათ ბანდიტების შაიკა რიცხვით 20 კაცი. გაჩაღდა სროლა, რასაც შედეგად მოჰყვა ზრპოს მეთაურის ცნობილი [illegible] გაგნიძის სიკვდილი. ამ არეულობით ისარგებლა ფირიამ და მიიმალა.

ხოშტარიას სახლში. აღმასრულებელმა კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის წინაშე საზღვარ გარეთ გაქცეულ კაპიტალისტ ხოშტარიას სახლის რეკვიზიციის უფლების მიღებაზე, რათა მასში მოთავსებული იქნას სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები.

ბორჩალოს მაზრაში.

შულავერი. 6 აპრილი. **როზა ლიუქსენბურგის ახალშენი.** ახალშენი ეკატერინფელდის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს და საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის რევკომის დადგენილების თანახმად, ახალშენ ეკატერინენფელდს დაერქვა როზა ლიუქსენბურგის ახალშენი. მთელი კორესპონდენცია, საქმიანი დამოკიდებულება და სხვა უნდა წარმოებდეს ბორჩალოს მაზრის ლიუქსემბურგის ახალშენის სახელზე.

ამხ. პლატონ შელიას ხსოვნას

დღეს შესრულდა ოთხი თვე, რაც კომუნისტური პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციას მოაკლდა თავდადებული მებრძოლი კომუნიზმისათვის ამხ. პლატონ შელია.

იმ დროს, როდესაც მენშევიკების ფარფაშს საქართველოში ის იყო უნდა მოეღებოდა ბოლო და 1918 წელში აბობოქრდა ზღვა, გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ამ დროს ამ ბრძოლაში ამხ. პლატონი წარმოადგენდა საუკეთესო ხელმძღვანელ-მებრძოლს მენშევიკების დიქტატურის, მენშევიკების ძალადობის წინააღმდეგ აჯანყებულ ზუგდიდის მაზრის გლეხობის რევოლიუციონური ნაწილისა. შემდეგ, როდესაც მენშევიკების ტლანქი ძალადობა უფრო მაგრდებოდა გერმანიის ჯარისკაცების ხიშტების მოშველებით, და მარცხდებოდა გლეხობის რევოლიუციონური ნაწილის აჯანყება, ამხ. პლატონი სულიერად არ დაცემულა: მას კარგად ქონდა შეგნებული, რომ იარაღს ძირს კი არ უნდა დაშვება, სანამ არ გაიმარჯვებს მუშათა კლასი და რომ ეს გამარჯვება უეჭველად მოხდება.

დარწმუნებული ამაში, ის მიემგზავრება საშა გეგეჭკორთან ერთად კავკავში რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ის იქ იცავს თავის პოსტს მედგრად და გმირულად.

იმ დროს, როდესაც მენშევიკების რეაქციას, ვაკხანალიას ძლიერად გაეშალა ფრთები და ცხოვრებას უწარიბდა მუშათა კლასს და რევოლიუციონურ გლეხობას, აი ამ დროს ზუგდიდის მაზრას ევლინება ამხ. პლატონი. ის ხედავდა, და ეს მას აწხენებდა, თუ რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ბურჟუაზიის ლაქიობაზე, პირად ბედნიერებაზე, მაღალი ადგილებისათვის ზრუნავდა, მეორე ნაწილი, უმრავლესობა, თუმც ნაკლებ განათლებული, ღვიძებდა და მასში სწრაფად იკიდებდა ფეხს შეგნება და ბრძოლის უნარი. ამხ. პლატონი მაშინათვე ებმება პარტიულ მუშაობაში და მოუწოდებს ამხანაგებს [illegible] საკენ. მან მოაწყო, დარაზმა რამდენიმე მცირე, მაგრამ ძლიერი [illegible] რევოლიუციონური რაზმი (ჩხოროწ. რაიონში).

ამხ. პლატონმა შთაბერა ამ რაზმს რევოლიუციონური სული.

მახსოვს, როგორ აღტაცებით მივიღეთ ცნობა 1919 წლის შემოდგომის ერთ ერთ დღეს, რომ „საოლქო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს გამოსვლა და საჭიროა ყველა ძალების დარაზმვა და მომზადება“. დადგა ბედნიერი წუთიც: გადაწყდა ზეგ უნდა გამოვიდეთ და რაზმიც განმზადებული დგას ფეხზე. ამ დროს ჩვენში ჩნდება მოღალატე იუდა, რომლის საშუალებით მენშევიკების „ჟანდარმერია“ ტყობილობს ჩვენს მუშაობის შინაარსს და ჩვენ ხელმძღვანელებს პლატონთან ერთად სამაზრო ციხეში ამოგვაყოფინებენ თავს. ამხ პლატონმა ოთხი თვე დაჰყო ციხეში, რის შემდეგ ის ისევ უბრუნდება პარტიულ მუშაობას.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამხ. პლატონს ხვდა წილად მეტისმეტი მძიმე ტვირთი აეკიდა მხარზე, მეტის მეტი საპასუხისმგებლო მუშაობა—ბრძოლა ბანდიტიზმის წინააღმდეგ. კიდევ უკანასკნელად მან დაამტკიცა თავისი აქტივობა. მას შრომას ამ დარგში არას დროს არ დაივიწყებს ზუგდიდის მაზრის პატიოსანი ნაწილი მშრომელი გლეხობისა. ის როგორც ელვა შექა ქუხილი მოევლინა მშრომელთა ძილის დამფრთხობ მცარცველ ავაზაკებს და მათთან ბრძოლაში საგრძნობ შედეგებს მიაღწია. ცხრა თვის მუშაობის შემდეგ ამხ პლატონი მტარვალი ავაზაკის ხელით იქმნა მოკლული. დიახ, შენ წმიდა სახელისთვის დაიწვი მშრომელთა სამსხვერპლოზე, სასახელოდ დაეცი ბრძოლის ველზე. შენ დაგვშორდი, მაგრამ ხსოვნა შენი კუბოს ფიცრამდე ჩაჰყვება შენს ამხანაგებს.

გრიშა შ—ლია.

შორაპნის მაზრაში.

შორაპანი 6 აპრ. სარწყავი არხი. ამ დღეებში დასრულდება 25 ვერსის სიგრძის სარწყავი არხის გაყვანა, რომელიც დაწყებულია შორაპნის აღმასრულებელ კომიტეტის ინიციატივით.

სენაკის მაზრაში.

ახალ-სენაკი. 6 აპრილი. საბჭოთა მეურნეობა. საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად აღმასრულებელ კომიტეტმა წინადადება მისცა სამეურნეო განყოფილებას გამოიყენონ ქ. ახალსენაკის ფარგლებში აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში არსებული 15 ქცევა და სამაზრო ციხის—10 ქცევა სახნავი მიწა.

უფასო წამლები. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის განკარგულებით მაზრაში შეწყვეტილია წამლების უფასოდ გაცემა.

თიონეთის მაზრაში.

თიონეთი 6 აპრილი სასკოლო შენობების რემონტი. თიონეთის აღმასკომმა აცნობა თემების აღმასკომებს და მილიციის უფროსებს აღმოუჩინონ დახმარება მასწავლებლებს სკოლის შენობების რემონტით და საჭირო მასალების მოგროვებით.

სახალხო სასამართლო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა იუსტიციის განყოფილების მიერ წარმოდგენილი სია სამაზრო სახალხო მსაჯულების 275 კაცისა.

გაუქმება ეკონომიურ განყოფილების. საშემოსავლო დაწესებულებითა უქონლობის გამო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გაუქმებულ იქნას ეკონომიური განყოფილება, რაც ეცნობება უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს. გაუქმებულია აგრეთვე სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება, მისი ფუნქციების შრომის განყოფილებაზე გადაცემით.

საქართველოში არსებულ იტალიის წარმომადგენლობამ 1922 წ. 7 აპრილის № 702 თარიღით აცნობა **საქართ. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა კომისარიატს** შემდეგი: „მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ იტალიის სანავოსნო კომპანიამ „ლლოიდ-ტრიესტინო“-მ რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო ხელისუფლებასთან შეთანხმებით დააწესა ახალი-ხაზი—კონსტანტინოპოლი—ოდესა. ხსენებული კომპანიის გემებით მიმავალი მგზავრები და საქონლის გამგზავნნი, ისარგებლებენ ყველა უპირატესობით როგორც პირად მოგზაურობის, ისე საქონლის გადაზიდვის საქმეში,—ოდესის ნავთსადგურში ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში. ასე მაგალითად იმ მგზავრებს, რომელნიც თან მიყვებიან თავის საქონელს, დაევალებათ ფასი სამგზავრო ბილეთებისა, საქონლის მეპატრონეთ მიეცემად დაზღვევის პოლისი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ყოველგვარ საშიშროებიდან, როგორც გადატანის დროს, ისე ოდესაში საქონლის გადმოტვირთვის შემდეგ 10 დღის განმავლობაში.

სავაჭრო გაცვლა გამოცვლის გასანვითარებლად ოდესიდან რუსული საექსპორტო საქონლის გადმოზიდვა იწარმოებს ძლიერ დაკლებულ ფასებში ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად „ლლოიდ ტრიესტინო“ მიიღებს მხოლოდ იმეთ საქონლებს ოდესაში გასაგზავნათ, რომელიც ნებადართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა წარმომადგენლობისაგან. კომპანიის განკარგულებაში არის ოდესის ნავთსადგურში დიდი საწყობები.

საქართველოს იტალიის წარმომადგენლის მაგიერ **ლამანია.**

ქრონიკა

◆ სათესლე მასალა. სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მისცეს თავის ცენტრალურ კომიტეტს 2,000 ფუთი კარტოფილი და 1,000 ფუთი ხორბალი წალკის რაიონის საჭიროებისათვის იმ პირობით, რომ მიწათ-მოქმედების კომისარიატმა იკისროს ამ სათესლე მასალის უკან დაბრუნება სასურსათო კომისარიატის პირველ მოთხოვნილებისათანავე.

◆ თევზ დამზადება. სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით თევზის დამზადება დღეიდან სამეურნეო წესით სწარმოებს, რის გამოც დაწესებულებებს თევზი მიეცემა მხოლოდ ნაღდ ანგარიშზე. ამიტომ დაწესებულებები ვალდებულნი არიან სახალხო სასურსათო კომისარიატში წინდავე შეიტანონ ფული მათთვის თევზის დასამზადებლად.

◆ ფასების კომისიაში. სახალხო სასურსათო კომისარიატისადმი გამოცემულ ბრძანებით მარტის 30 ის თარიღით ფასების კომისიის ახალი შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე ამხ. დავიდოვი მ. ი., თავმჯდომარის მოადგილე—საორგანიზაციო ცენტრის წარმომადგენელი ამხ. სპექტორი ი. ე. და კომისიის წევრები: საოპერაციო ცენტრის წარმომადგენელი ამხ. ჯაფარიძე ა. რ. და ცენტროსაწყობის წარმომადგენელი ამხ. საიანოვი ს. ო.

◆ საქონლის გაცვლა. სახალხო სასურსათო კომისარიატმა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მისცა უკანასკნელისაგან წამოღებულ ღვინისა და ჩაის ბადლად: 100 ფუთი შაქარი, 2,000 არშინი ფართლეული, 300 ფუთი სიმინდი და 20 გუთანი.

◆ პარტახტიანი ტიფი და ყვავილი. თბილისის ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით მარტის თვეს განმავლობაში ქალაქში ადგილი ქონდა 366 შემთხვევას პარტახტიანი ტიფით ავად გახდომისას და 27 შემთხვევას—ყვავილით. პარტახტიან ტიფით ავადმყოფთაგან 292 მოთავსებულ იქნა ქალაქის საავადმყოფოებში, ხოლო 74 ექიმობდა თავიანთ ბინაზე. საავადმყოფოებში მყოფთაგან მორჩა 264 და გარდაიცვალა 31. ყვავილით ავათ გამხდართაგან 20 მოთავსებულ იქნა ქალაქის საავადმყოფოში და 7 ექიმობდა თავიანთ ბინაზე. საავადმყოფოში მყოფთაგან 15 მორჩა და 2 გარდაიცვალა.

◆ ქალაქის აბანოები. საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს შრომის დაცვის სანიტარულ-ტეხნიკურ ინსპექციამ ხელმეორეთ დაათვალიერა გოგირდის აბანოები და წინადადება მისცა აბანოების სამმართველოს სასწრაფოდ მოახდინოს აბანოს რემონტი და ზოგიერთი სანიტარული გაუმჯობესება.

◆ მიწისა და ტყის მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში. პროფესიონალურ კავშირის ცენტრალური გამგეობა იწვევს 10 აპრილისათვის პროფკავშირის საქართველოს კონფერენციას.

◆ რკინის გზის ტარიფის გადიდება. ამიერ კავკასიის რკინის გზებზე დაგზავნილია შემდეგი დეპეშა: ოქროს მანეთის კურსის შეცვლის მიხედვით წინადადება გეძლევათ 24 საათიდან 4-დან 5 აპრილამდე გაადიდოთ ფასები 1 მგზავრო ბილეთებზე:—ბაგაჟისა და საქონლის გადასახიდი შემდეგნაირად: 1. იმ საფასურს, რომელსაც იხდიან ქართული ნიშნების ნუსხას მიხედვით, მიემატოს ერთი მეოთხედი ნუსხაში აღნიშნული თანხისა, ხოლო საბჭოთა ფულების ნიშნებით, ნახევარი. 2. საფასურს, რომელსაც ახდევინებენ აზერბეიჯანში და ნახიჩევანის მხარეში, აზერბეიჯანის ფულის ნიშნების მიხედვით, მიემატოს ერთი მესამედი ნუსხაში აღნიშნული თანხისა, ხოლო საბჭოთა ფულის ნიშნებით ნახევარი. 3. საფასურს, რომელსაც იხდიან სომხეთში საბჭოთა ფულის ნიშნებით მიემატოს ნუსხაში აღნიშნული თანხის ნახევარი, ხოლო სომხეთის ფულის ნიშნებით—გადიდებულ იქნეს სამჯერ. 4. იალამიდან პეტროვსკამდე დაწესებულ გადასახადს ემატება არსებული თანხის ნახევარი; ამ რიგად საბჭოთა სამივე რესპუბლიკაში სამგზავრო ფასი გადიხდება ორი მესამედით ადგილობრივი ფულის ნიშნებით და ერთი მესამედი საბჭოთა ფულის ნიშნებით. მხოლოდ საბჭოთა ფულის ნიშნებით გადახდა აკრძალულია. ხოლო იალამიდან პეტროვსკამდე კი გადახდა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ფულის ნიშნებით.

◆ სენაკი. დაკარგულია სენაკის საგანგებო დანიშნულების რაზმის ბეჭედი და პირადობის მოწმობა № 318 მიღებული მთავარ შტაბიდან ალექსანდრე ტყებუჩავას სახელზე, რომლებიც იქნენ გაუქმებულნი.

◆ შეცდომის გასწორება. ა. წ. 7 აპრილის ჩვენი გაზეთის (78 № ში) მეოთხე გვერდზე მოთავსებულ სავაჭროების გახსნის, ვაჭრობის წარმოების და მისი ზედამხედველობის წესების შესახებ დადგენილების მეცხრე მუხლი დაბეჭდილია: დახურულ სადგომებში ვაჭრობის წარმოება შეიძლება მხოლოდ სამმართველოს განყოფილების მილიციის მეშვეობით. უნდა იყოს: დახურულ სადგომებში ვაჭრობის წარმოება შეიძლება მხოლოდ სამმართველოს განყოფილების მიერ დაწესებულ საათებში. სავაჭროების თავის დროზე გაღების და დაკეტვის ზედამხედველობა ეკისრება სამმართველოს განყოფილებას მილიციის საშუალებით.

ამიერ-კავკასიის თავდაცვისათვის

განსაკუთრებული საინსპექციო კომისია ამხანაგ სერებრიაკოვის, მენჟინსკის და ელიავას მეთაურობით ამჟამად ათვალიერებს საქართველოს შავი ზღვის ნაპირებს და იღებს ზომებს ამ ნაპირების თავდაცვის გასაძლიერებლად იმ შემთხვევისათვის თუ თითრგვარდიელებისა და ანტანტის იმპერიალისტების ხროვა მოისურვებს ფეხი შედგას საბჭოთა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. კომისიამ დაასრულა თავისი მუშაობა აჭარისტანსა და აფხაზეთში. ამ დღეებში კომისია ფოთის რაიონის დათვალიერების შემდეგ დაბრუნდება თფილისს. აქედან კომისია ამხ. სერებრიაკოვით გაემგზავრება აზერბეიჯანში.

თეატრი და ხელოვნება

— **ბინის საკითხი ხელოვანთა კავშირის წევრების შესახებ.** სახალხო განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა, აღძრას შუამდგომლობა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, საქართველოს ხელოვანთა კავშირის წევრებს მიენიჭოს პირველ კატეგორიის მოსამსახურეთა უფლებები ბინის ქირის გადასახადის საკითხში და მიეცეთ მათ საშუალება სამუშაოდ კაბინეტის დაჭერისა.

— **მოსე თოიძის შუამდგომლობა მთავარ სახელოვნო კომიტეტის წინაშე.** მხატვარმა მოსე თოიძემ მთავარ სახელოვნო კომიტეტის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, დამტკიცებულ იქნეს მისი სტუდია „კერძო სამხატვრო აკადემია მოსე თოიძის“ სახელწოდებით. მუშაობის ნაყოფიერ გაგრძელებისთვის, თოიძე, აგრეთვე ითხოვს, მიეცეს მას დახმარება სუბსიდიის სახით, დაახლოებით 3 მილიონი თვიურათ.

— **დამსახურებული მწერლები და აკადემიური ულუფა.** სახალხო განათლების კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს სახალხო კომისართა მცირე საბჭოს წინაშე, იმ დამსახურებულ მწერლებს, რომელთაც ეძლეოდათ აკადემიური ულუფა, თანახმად 1921 წლის აგვისტოს 25 გამოქვეყნებულ დეკრეტისა, სანაცვლოდ მიეცეთ სათანადო თანხა.

— **მხატვარ მოსე თოიძის სამხატვრო აკადემია.** მოსე თოიძემ უკვე ერთი თვეა, რაც დაარსა სამხატვრო აკადემია. **აკადემიის მიზანია:** პლასტიური ხელოვნების გავრცელება საქართველოში, ამ დარგში ხალხის ნიჭის განვითარება და საზოგადოთ ესთეტიურ გემოვნების ამაღლება. **ხასიათი აკადემიისა:** 1) თავისუფალი გზა შემოქმედებისაკენ ყოველგვარ ფორმალურ და სხვა დაბრკოლებათა უკუგდებით: ცენზის, წლოვანების, პროფესიის, დროს განსაზღვრის და სხვათა, 2) ერთად ხატვა ცოცხალი ნატურიდან ყველას მიერ: მოსწავლეთა, მხატვართა და პროფესორთა, პრაქტიკულის სწავლის და ჩქარი მიხვედრისათვის; 3) მოწაფეთა დასწრება და მონაწილეობა ყველა სამხატვრო საქმეების პრაქტიკულ მოწყობაში, როგორიც არის ნატურის ძებნა, ნაწარმოების შეფასება, გამოფენის გამართვა და სხ. **პროგრამა აკადემიის:** 1) ხატვა ცოცხალი ნატურიდან: ა) შიშველი ტანის, ბ) ტიპები ეროვნულ ტანისამოსში, გ) თავის, ანუ სახის ხატვა; 2) ხატვა მცენარეულობის და სხვა საგნების: ა) ყვავილები, ხილი, ბოსტნეული, ბ) ჭურჭლის, გ) სამუსიკო, საომარ და სხვა იარაღების, 3) ლექციები: ყოველგვარ სპეციალობის და სკოლათა მიმართულების უკეთეს წარმომადგენელთა მოწვევით. 4) საღამოები: „ხატობა“ ა) წინასწარ ნამუშევართა ნიმუშების გამოფენით. ბ) მსჯელობა ხელოვნების საკითხებზე და პრობლემათა ძიება. გ) ხატვა საკონკურსოთ მოწვეულთაგან და მათივე პორტრეტებით დაჯილდოება და სხ. აკადემიის მუშაობა სწარმოებს სისტემატიურათ და მოწაფეთა რაცხვიც საგრძნობლად იზრდება.

— **საბავშვო გამომცემლობა.** საბავშვო გამომცემლობა ბეჭდავს და ამ დღეებში გამოვა შემდეგი საბავშვო წიგნები: 1) „ჯეჯილი“, 2) „ნაკადული“, 3) ალექსი მირიანაშვილის „იგავ-არაკები“. 4) საბავშვო პიესათა კრებული, რომელიც იბეჭდებოდა „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“. 5) ხალხური ზღაპარი: „დედაბერი, ტურია და მელია კუდაგძელია“, დასურათებული მხატვარ ვლ. სიდამონ-ერისთავის მიერ.

— **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება, ნიკო გოცირიძის რეჟისორობით „იმედის დაღუპვა“. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ბინის საკითხი

ს. პ. კ. ს. გაფართოებულ სხდომაზე

8 აპრილს საღამოს შესდგა კრება გაფართოებულ პლენუმის საქ. პროფკავშირთა, თბილისის ქალაქის აღმასკომის და ქარხნების მუშათა ადგილკომების წევრებთან ერთად. უმთავრესი ნაწილი კრებისა მოუნდა საბინაო საკითხის განხილვას.

პირველად მოსმენილ იქნა მოხსენება თბილისის ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების გამგის ამხ. წივწივაძისა.

„საბინაო საკითხი თბილისში,—ამბობს მომხსენებელი,—ამ ჟამად ძლიერ გამწვავებულია. სახლების შენება როგორც კავკასიაში, ისე თბილისში შეჩერებულია. მაგრამ გასაკვირი აქ არაფერია. პარიზში 1914 წლამდე ყოველ წლიურად შენდებოდა 60,000 ბინა, ეხლა კი მხოლოდ 11,000 ბინა კეთდება წლიურად, რის გამოც პარიზის კომუნალურმა საბჭომ საბინაო საკითხი კატასტროფიულად აღიარა. ასეთივე მდგომარეობაა ლონდონშიაც სადაც ომამდე შენდებოდა წლიურად 90,000 ახალი ბინა, ხოლო 1914 წლიდან 1919 წლამდე აშენებულ იქმნა მხოლოდ 50,000 ბინა. უდიდესი საბინაო კრიზისი თბილისში ან უნდა მიგვენებებინა სტიქიურ ნგრევისათვის, ან როგორმე ხელოვნურად უნდა გადაგვეწყვეტა ის.

ჩვენ პირველადვე შეუდექით გამოსახლებას და შევიწროებას, მაგრამ ამან ვერ მოიტანა სასურველი შედეგები. ჩვენ აქ გვაქვს საბინაო ფონდი. აქამდე ჩვენ მოუწყდით დანაწილებას. აღმშენებლობა კი შეჩერებულ იქმნა. ბინის კრიზისის გადაწყვეტა შეიძლება არა ბინების დანაწილებით, არამედ არსებულ საბინაო მეურნეობის კომუნალური საკითხის გადაჭრით. ამისათვის სახლის პატრონები უნდა დავაინტერესოთ სარგებლით. საკითხის სხვა გადაწყვეტა მათ არ ესმით.

ამისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ დაუბრუნოთ სახლები მესაკუთრეებს და მივცეთ მათ ზოგიერთი გარანტიები. ეს საკითხი რამოდენიმე თვეა მუშავდებოდა და აღმასკომი ვერ ბედავდა მის გადაჭრას და ანდობდა საკითხის გადაჭრას პროფკავშირს და სხვა და სხვა დაწესებულებებს, სახლების პატრონებზე გადაცემის შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ჩვენ წინ წამოიჭრა მუშათა კლასის უზრუნველყოფის საკითხი, რომ ისინი არ შეავიწროვოს სახლების პატრონებმა. ჩვენ გავყავით მოსახლეობა 3 კატეგორიად. პირველ და მეორე კატეგორიისათვის ჩვენ განვსაზღვრეთ ბინის ფასი. ამ ორ კატეგორიაში შევიდნენ მუშები და მოსამსახურენი, უმუშევარნი, რომლებიც იმყოფებოდნენ სოციალურ უზრუნველყოფაზე და აგრეთვე წითელ ლაშქრელები. მესამე კატეგორია კი, რომელშიაც შევიდნენ სპეკულიანტები და ვაჭრები, არ საჭიროებდა ბინაზე ფასის განსაზღვრას, და მათი ხარჯით სახლის პატრონებს შეუძლიათ შეაკეთონ სახლები, მაგრამ აღმასკომში ამ საკითხის განხილვის დროს მეორე კატეგორიის პირნი ე. ი. კერძო და საზოგადო წარმოებათა მუშები და მოსამსახურეები და თავისუფალ პროფესიის პირები მიწერილ იქნა მე-3 კატეგორიაზე.

სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოების მუშებისათვის დიდ დათმობაზე წავედით, დავაწესეთ გადასახადი 1 კვად. არშ. 1000 მან. ე. ი. 1 კაპიკი, და 25 კვად. არშ. კი 25,000 მან. ე. ი. 25 კაპიკი. ეს ისეთი უმნიშვნელო გადასახადია, რომ მეტი არ შეიძლება. რატომ მარტო სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებათა მუშები და მოსამსახურები მოხვდენ პირველ კატეგორიაში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცხოვრებაში კოლექტიურ ხელშეკრულებათა გატარების შემდეგ თვითეული პროფესიონალური კავშირი შეძლებს უზრუნველყოს კერძო და საზოგადო დაწესებულებათა მუშების და მოსამსახურეების ინტერესები. ის აიძულებს წარმოებათა პატრონებს გადასდონ ზედმეტი შემოსავლიდან ბინის ქირა მუშების სასარგებლოდ.

რატომ იხდიან სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებების მუშები და მოსამსახურენი ბინის ქირას პირველ ნოემბრიდან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ კერძო და საზოგადო წარმოებათა მუშების და მოსამსახურეთა საკითხი ამის შესახებ გადაწყდება კოლექტიურ ხელშეკრულებათა გამომუშავების დროს.

მიუხედავად ამ შეღავათებისა ბევრი სახლის პატრონები უარს ამბობენ თავიანთ სახლებზე. ბევრი დაწესებულება ცდილობენ არა თუ შეინახოს მუნიციპალიზაციით ჩამორთმეული სახლები, არამედ თავზე ახვევენ ქალაქის აღმასკომს ამ სახლებზე გაწეულ ხარჯებს. მუნიციპალიზაციით ჩამორთმეული სახლები ეძლევა მათ, ვისაც იგი უკავია, პროფკავშირებმა კი უნდა მისცენ წარმოებითი ორგანოებს სახლები, რომლებმაც უნდა შეინახონ ისინი.

კიდევ ერთი საკითხი გამოსახლების შესახებ. გამოსახლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

თუ სახლის პატრონებს მიეცათ სრული თავისუფლება, მაშინ დაიწყება ვაკხანალია; სახალხო სასამართლო კი, შეძლებს შეაფასოს სახლის პატრონების მადა.

ს. პ. კ ს. საგანგებო კომისიის მოხსენება.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის მიერ შედგენილი იყო კომისია № 4 სავალდებულო დადგენილების განსახილველად, რომელიც გამოცემული იყო თბილისის ქალაქის აღმასკომის მიერ ამა წლის 25 მარტს საცხოვრებელ ბინების, სავაჭრო სამრეწველო შენობათა და საწყობ ადგილების შესახებ. კომისიამ დაამთავრა თავის მუშაობა, მაგრამ ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა ვერ მოასწრო მისი დასკვნის განხილვა.

კრება მაინც მოისმენს ეხლა ამ დადგენილებას.

(დასასრული იქნება)

პროვინციაში

ქუთაისის მაზრა

გასული წლის მოუსავლობამ დასავლეთ საქართველოში უკვე გამოიღო საშინელი შედეგები. აგერ სამი თვეა რაც დამშეულ მაზრებათაა გამოცხადებული: შორაპნის, რაჭის, და ლეჩხუმის მაზრები. ა. წ. აპრილიდან ქუთაისის მაზრაც დაემატა.

შიმშილის აჩრდილი ყველას თვალწინ უდგას. დამშეულთა დამხმარე საშუალებები ადგილობრივათ ყოველ ძალ ღონეს ხმარობენ, მაგრამ შექმნილ პირობებში მათი მუშაობის ნაყოფი ვერ არის დაკმაყოფილებული

მიუხედავათ ამისა პარტიულად საბჭოთა ორგანოები მაინც დიდ ენერგიას იჩენენ.

ჩვენ ვხედავთ როგორი სიფხიზლით და ინტერესით ეკიდება მშრომელი გლეხობა მიწის საკითხის გადაჭრას. მართალია ამ გაზაფხულზედ მიწის საკითხი პრაქტიკულათ ვერ მოგვარდება სავსებით, მაგრამ წელს მეტი გამოცდილებით და გამბედაობით მოქმედობენ მიწების განმანაწილებელი კომისიები.

ბევრი რამ გაკეთდა სარწყავ არხების მოწყობაში და თუ ცენტრმა გაუწია დახმარება-ხელმძღვანელობა, გლეხები დიდი ხალისით გადიან ამ მეურნეობისათვის ფრიად საჭირო სამუშაოზედ ნატურბეგარის მოსახდელათ. თუ რამე ბუნებრივ მოვლენამ არ შეუშალა ხელი, წელს გაცილებით მეტი დაითესება, ვინემ გასულ წელს იყო დათესილი.

შემოდგომაზედ ნაკლები მოსავლით დაფიქრებულ გლეხობას, ამ წლისთვის ცოტაოდენი პურიც აქვს დათესილი, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში მოუსწრებს და ცოტათი გაუადვილებს მდგომარეობას. არიან ისეთი გლეხებიც, რომლებიც დღეს ყიდულობენ ქირნახულს საზრდოთვის, მაგრამ შარშანდელი მოსავლიდან სათესლე შეუნახავთ, და რაც არ უნდა მოშივდეთ მას ხელს არ ახლებენ. ეს მაჩვენებელია იმისი, რომ ისინი დასთესავენ სალი თესლით, მხოლოდ მათ უნდა დავეხმაროთ მოსავლამდის, რომ შიმშილს თავი დააღწიონ.

ვანო ხტურუა.

დაბა აბაშა

7 აპრილს დაბა აბაშაში თესვის და პოლიტიკური კომპანიის ჩასატარებლად შესდგა კვათანის თემის მიტინგი.

აღმასკომის სახელით ე. კაჭარავას მიერ მიტინგის გახსნილად გამოცხადებისა, შესრულებულ იქნა ინტერნაციონალი.

თესვის კომპანიის და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ფრიად შინაარსიანი და საქმიანი მოხსენება გააკეთა ჩვენი ენერგიულ და გამოცდილ მუშაკმა ამხ. ვასილ ქობულიამ. მომხსენებელმა ვრცლად, ყველასთვის გასაგები და მოხდენილი სიტყვებით გააცნო მიტინგს ეს ორი დიდად მნიშვნელოვანი საკითხი.

გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, წარმოდგენილი გ. ფრანგიშვილის მიერ, სადაც ნათქვამია, რომ არ დარჩეს არც ერთი ტკაველი მიწა დაუმუშავებელი მომავალში სიმშილობის თავიდან ასაცდენად, რაც ხელს შეუწყობს მუშათა კლასის ეკონომიურად გაჯანსაღებას და პოლიტიკურად გაძლიერებას; დაეხმარებიან ყანის დამუშავების საშუალებას მოკლებულ გაჭირვებულთ, არ გააჭაჭანებენ და სასტიკ ზომებს მიიღებენ ყველა უმუშევარ და ხელის შემშლელ ელემენტების წინააღმდეგ, ხოლო პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ—საბჭოთა მთავრობას სურს მშვიდობიანობა, ქვეყნის დანგრეულ მეურნეობის აღდგენა, მაგრამ მტრები მიუხედავად ათასჯერ დამარცხებისა მაინც არ სცხრებიან, საბჭოთა ფედერაცია ძალა-უფლების შესანარჩუნებლად შეებრძოლება ყველა მტრებს, არავის მისცემენ საშუალებას დაღეწილ ბორკილების ისევ დადგმისას, არვის დაანებებენ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს, სასტიკად დასჯიან ყველა მათ, ვინც შიგ შეეცდება არევ დარევის გამოწვევას.

აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ სოფლის მუშები ამბობენ: ჩვენ სიხარულით შევასრულებთ საბჭოთა მთავრობის რჩევა-დარიგებას, დაუღალავად ვიმუშავებთ, ყველა ბნელი საქმეების და არევ დარევის შემომტანთ მივსცემთ თვითონ ჩვენ მთავრობას.

კვათანის თემში დარიგდება ამ დღეებში უფასოდ 350 ფუთი სათესლი სიმინდი, რაც დიდ დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მუშებს.

ასეთი მიტინგები იმართება აბაშის რაიონის ყველა თემებში და მთელ სენაკის მაზრაში დამშეულ თემებში რიგდება სიმინდი უფასოდ. მიდის გაცხოველებული მუშაობა ყანებში.

ჟან—ფანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარული ბარათი № 60

4 აპრილი 1922 წელი.

ყველა სახელმწიფო ორგანიზაციებს

მასალათა რესურსების ნაკლებობა ბაზარზე ნაწარმოების ნელი რეალიზაცია, ბრუნვის საშუალებათა მცირე შემოსავალი, განსაკუთრებულ მძიმე პირობებში აყენებს სახელმწიფო წარმოებას.

ჩვენ სამეურნეო ორგანოებს ჩვეულებათ გადაექცათ მოახმარონ მთელი ენერგია და უმთავრესი ყურადღება მიაქციონ არა წარმოების გაუმჯობესობას და გაფართოებას არამედ საშუალებების გამოძებნას რომ გადაიხადონ ყოველ დღიური საშუალო ხელფასი მაინც.

მსგავსი მოვლენა ყოვლად დაუშვებელია, რადგანაც იგი სახელმწიფო წარმოებებს აყენებს კატასტროფიულ მდგომარეობაში.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა განიხილა რა სამეურნეო ორგანოების კრიტიკულ ფინანსიურ მდგომარეობის საკითხი ამის ერთ მიზეზათ აღიარა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ შეკვეთების და მათდამი გაწეულ სამსახურის ანგარიშების გადაუხდელობა, რაც მაჩვენებელია სახელმწიფო მრეწველობის მოთხოვნილებისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობისა.

ყველა ეს იძულებულ ყოფს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს მიმართოს ამ ბარათით ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს დაუყონებლივ შეიტანონ ს. მ. უ. ს. კასაში ცენტრში, ადგილებზე კი სახალხო მეურნეობის და ეკონომიურ განყოფილებათა კასებში მთელი ის ჯამი, რომელიც ირიცხება მათზე.

სარგებლობს რა შემთხვევით ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი გაცნობებთ, რომ მან დაუგზავნა განკარგულება თავის გამგებლობაში მყოფ ყველა ორგანოებს რომ არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას არ მისცენ შეკვეთები და საქონელი უფასოდ რომლის ძალითაც ყველა სახელმწიფო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან შეკვეთის დროს გადაიხადონ მისი ღირებულება სრულად.

სახელმწიფო მეურნეობის უმაღლე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილ

ვ. ავაკოვი.

ს. მ. უ. ს. საქმეთა მართველ

დ. მეხხი.

სარედაქციო კოლეგია.

ელექტრონთა სადგურების აბონენტები

საყურადღებოთ

კომუნალურ მეურნეობის ელექტრო-სადგურთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა წლის 1 აპრილიდან ყოფ. „ადამოვის“ ელექტრონის სადგური იღებს ელექტრონის საანგარიშოს (СЧЕТЧИК) გასწორებას და შეკეთებას. იქვე მიიღება გატენა და შესწორება აკუმოლიატორებისა.

მისამართი: პლეხანოვის პრ. № 111. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

(3—3)

განცხადება

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებათა ცნობად, რომ მათ უსათუოდ უნდა გაასწორონ ამ მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან ანგარიშები აღნიშნულ კომიტეტის კომუნალურ სამსახურისა წყალზე და ელექტრონზე. ყველა იმ დაწესებულებები, რომლებიც ათი დღის განმავლობაში, დღიდან ამ გამოცხადებისა, არ მიიღებენ შესაფერ ზომებს აღნიშნულ ანგარიშის გასწორებისთვის წყლის და ელექტრონის მიწოდება მათთვის უსათუოდ შეუწყვეტილ იქმნება.

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

წივწივაძე.

(3—2)

ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის“, „კომუნისტის“, „კარმირ ასტღ“-ის და „ახალი აზრის“ ხელის მომწერთა (სახელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების და კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ისინი მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს და პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტანიათ

გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმოებს წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).

სახელმწიფო გამომცემლობისაგან

განცხადება

ცხადდება ყველა პარტიულ გაზეთების „კომუნისტის“, „პრავდა გრუზიის“ და „კარმირ ასტღ“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება ახალი ფასით.

პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის ხელის მოწერა ადგილზე ქალაქში სახლში მიუტანელად თვეში ღირება 120.000 მან. მიტანით 140.000 მ. პროვინციაში 150.000 მან.

ყველა სხვა დაწესებულებისა და კერძო პირთათვის ხელის მოწერა ადგილზე შინ მიუტანელად ქალაქში ღირება თვიურად 180,000 მან. მიტანით 200,000 მ., პროვინციაში 240.000 მან.

ცალკე ნომერი ქალაქში ღირება 10,000 მ. პროვინციაში კი 12,00

ხელის მოწერა დროებით მიიღება სახელმწიფო გამომცემლობაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5 ამხ. ზუმბაძესთან.

განცხადება

ქ. თბილისის მე-6 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს თავის კამერაში (სურბ-კარაპეტის ხევი № 3) მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ანდრია ივანეს ძე მაკაროვის დანაშთ ქონებაზედ. დღიდან მოცხადებისა ორი თვის ვადაში.

სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).

(1—1)

განცხადება

ქ. ტფილისის კომუნალური მეურნეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყველა ქალაქის მიწები, რომელიც ნული და დათესილია ქალაქის ნება დაურთველად მოქალაქეების მიერ, დებული არიან ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადე აიღონ ნებართვა საადგილ-მამულო განყოფილებაში (თავისუფლების დანი ყოფილი ქალ. თვითმ რთველობის შენობა ოთახი № 52) წინააღ შემთხვევაში ის მიწები ჩამორთმეული იქნება უსასყიდლოდ ქალაქის სა გებლოდ.

კომუნალური მეურნეობა.